გიორგი სიბაშვილი

# 68 წელი ჭადრაკის სამყაროში

რეცენზენტები:

**თორნიკე სანიკიძე**: საერთაშორისო დიდოსტატი,

საქართველოს ოლიმპიური გუნდის მწვრთნელი.

**დავით ჯანოევი**: საერთაშორისო ოსტატი, საქართველოს

დამსახურებული მწვრთნელი.

რედაქტორი: **ჰამლეტ მელაძე**. ფიზ-მათ. მეცნიერაბათა
დოქტორი, პროფესორი

**ISBN 978-9941-411- 57-1**

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
„საზოგადოება ცოდნა“

გიორგი სიბაშვილი

# 68 წელი ჭადრაკის სამყაროში (1953-2020 წწ.)



მერაბ თხელიძე

ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეროვნული ოსტატი ჭადრაკში, მოყვარულ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჭადრაკის პროფესორი

თბილისი - 2020

# ანოტაცია

ნაშრომი მიეძღვნა მერაბ თხელიძის საჭადრაკო ცხოვრებასა და მოღვაწეობას 1953-2017 წლებში.



ბატონმა მერაბმა 68 წელი იცხოვრა „თავის“ - ჭადრაკის სამყაროში და დღესაც აქტიურად მოღვაწეობს როგორც მოქმედი პრაქტიკოსი მოჭადრაკე, თეორიტიკოსი, ახალგზარდების აღმზრდელი ჭადრაკში და ცხორების გზაზე.

მე ვაჩვენებ როგორი სიყვარულითა და თავგანწირვით უდგება ის ამ ყველაფერს ბატონი და ხანდახან ფიქრიც წამიღებს ხოლმე: ის საერთოდ ოდესმე ისვენებს? ალბათ, ძილშიც კი ფიქრობს!

# სარჩევი

ანოტაცია……………………………………………………………………4
შესავალი……………………………………………………………………6
§1. მოკლე ბიოგრაფიული ცნობები…………………………....................10
§2. პედაგოგიური საქმიანობა - მათემატიკა და ჭადრაკი…...........21
§3. მერაბ თხელიძე როგორც პრაქტიკოსი და თეორიტიკოსი მოჭადრაკე.....................................................................................22
§3.1. საჭადრაკო ნათლობა. ადრეული შემოქმედება(1953-1959 წწ.)……..........................................................................……...22
§3.2. გზა ოსტატობისაკენ (1959-1963 წწ.)……...……………………31
§3.3. მერაბ თხელიძე „თავის“ საჭადრაკო მწვერვალზე (1963-1972 წწ.)……....................................................................................…43
§3.4 არსებობისთვის მათემატიკა, სიყვარულისთვის - ჭადრაკი...51
§4. მერაბ თხელიძე: „ჭადრაკს ვითამაშებ სიცოცხლის ბოლომდე“..........................................................................................55
დასკვნა……………...…………………………………………...62
გამოყენებული ლიტერატურა……………....…………………...63

# შესავალი

თბილისში დადის ერთი თავმდაბალი კაცი, რომლის გარშემოც მსოფლიოს საჭადრაკო სამყარო ტრიალებს. მერაბ თხელიძე 2019 წლის 18 ივლისს 80 წელს გადააბიჯა და ძალიან ბევრმა არ იცის, რომ მან კორიფეები ჭადრაკში, მსოფლიო მეოთხე, მერვე და მეათე ჩემპიონები: მიხეილ ბოტვინიკი, მიხეილ ტალი და ბორის სპასკი დაამარცხა. [1]

ნაშრომი მიეძღვნა **მერაბ თხელიძის**, ფიზ. მათ. მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორისა და ჭადრაკში ეროვნული ოსტატის, მოყვარულ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის, ცხოვრებასა და საჭადრაკო მოღვაწეობას.

*„მე ჭადრაკი მიყვარს თავდავიწყებით და უანგაროდ, თუმცა ჭადრაკმაც „გადამიხადა სამაგიერო": დამეხმარა ადამიანებთან ურთიერთობაში, მასწავლა გუნდური ცხოვრების წესები, ხელი შემიწყო მეცნიერულ და პედაგოგიურ საქმიანობაში. საერთოდ თუ რამე მნიშვნელოვანს მივაღწიე 80 წლის განმავლობაში, ეს ჭადრაკის დამსახურებაა."* ამბობს ბატონი მერაბი თავის თავზე [2]

**მერაბ თხელიძემ** 1953 წლიდან 2017 წლის ჩათვლით საოცარი საჭადრაკო გზა განვლო: დაიწყო საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონობით და დაამთავრა საქართველოს სენიორთა ჩემპიონობით. ის მსოფლიო ჩემპიონებისა და გამოჩენილი დიდოსტატების რისხვაა. დიდი ბედნიერებაა, რომ მსოფლიომ იხილა მისი საჭადრაკო

შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნი სახელწოდებით ,,64 წელი ჭადრაკის სამყაროში'', რომელიც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელების მორალური და ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა 2019 წელს. [2].

# მერაბ თხელიძის  1953-2017 წლებში საჭადრაკო შეჯიბრებებში მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგების ნუსხა:

| № | ჩატარების დრო | ჩატარების ადგილი | შეჯიბრების დასახელება | შედეგი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 1953 წლის ივნისი | ბათუმი | საქართველოს მოსწავლეთა გუნდური პირველობა ხუთ დაფაზე, მეხუთე დაფა | 7-დან 7 ქულა. I ადგილი |
| 2 | 1955 წლის სექტემბერი | თბილისი | თბილისის მამაკაცთა პირველობის ნახევარ-ფინალი | 12-დან 10 ქულა. I-III ადგილი |
| 3 | 1957 წლის 26 ივნისი-10 ივლისი | ბორჯომი | საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატი | 15-დან 12 ქულა. I ადგილი |
| 4 | 1958 წლის ნოემბერი | თბილისი | თბილისის მამაკაცთა პირველობის ნახევარ-ფინალი | 13-დან 12,5 ქულა. I ადგილი |
| 5 | 1959 წელი | თბილისი | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩემპიონატი | 15-დან 12,5 ქულა. I ადგილი |
| 6 | 1961 წელი | თბილისი | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩემპიონატი | I ადგილი |
| 7 | 1963 წლის 21 თებერვალი-23 მარტი | თბილისი | მამაკაცთა საქართველოს ჩემპიონატის ფინალი | 19-დან 12 ქულა. II-IV ადგილები |
| 8 | 1963 წლის 4-27 მაისი | თბილისი | ამიერკავკასიის ჩემპიონატი | 15-დან 9 ქულა. V-VI ადგილი. სსრკ სპორტის ოსტატის ნორმა 8.5 ქულა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9 | 1964 წელი | თბილისი | თბილისის ჩემპიონატის ნახევარ-ფინალი | 13-დან 11.5 ქულა. I-II ადგილი |
| 10 | 1963 წლის 18 დეკემბერი - 1964 წლის 9 იანვარი | თბილისი | ნსს „ქარიშხალას" საქართველოს ჩემპიონატი | 12-დან 9,5 ქულა. I-II ადგილი |
| 11 | 1966 წლის ივლისი | ხარკოვი | საკავშირო გუნდური პირველობის ნახევარ-ფინალი უმაღლეს სასწავლებლებს შორის რვა დაფაზე. მეექვსე დაფა | 7-დან 6.5 ქულა. I ადგილი |
| 12 | 1966 წლის 18 ივლისი - 1 აგვისტო | მინსკი | საკავშირო გუნდური პირველობის ფინალი უმაღლეს სასწავლებლებს შორის რვა დაფაზე. მეექვსე დაფა | 7-დან 5,5 ქულა. I ადგილი |
| 13 | 1967 წელი | თბილისი | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჩემპიონატი | I ადგილი |
| 14 | 1969 წელი | თბილისი | თბილისის ჩემპიონატის ნახევარ-ფინალი | 10-დან 7,5 ქულა. I-V ადგილი |
| 15 | 1970 წლის დეკემბერი | თბილისი | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჩემპიონატი | 12-დან 10 ქულა. I ადგილი |
| 16 | 1972 წლის 17-27 ოქტომბერი | თბილისი | საკავშირო თამაშების ფინალი სტუდენტურ გუნდებს შორის. III დაფა | 7-დან 5,5 ქულა. I ადგილი |
| 17 | 1986 წლის 8-30 იანვარი | თბილისი | ჭადრაკის სასახლის თასის გათამაშების ფინალი | 15-დან 12,5 ქულა. I ადგილი |
| 18 | 1987 წლის თებერვალი | პალანგა | საკავშირო ღია ფესტივალი „პალანგა-87" | 7-დან 6,5 ქულა. I ადგილი |
| 19 | 1987 წლის ივლისი | კლაიპედა | საკავშირო ღია ფესტივალი „კლაიპედა-87" | 10-დან 6,5 ქულა. I-II ადგილები |
| 20 | 1987/88 წლები | თბილისი | ჭადრაკის სასახლის თასის გათამაშების ფინალი | 17-დან 12,5 ქულა. I ადგილი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21 | 1995 წლის 31 მარტი - 2 აპრილი | თბილისი | საქართველოს პირველობა აქტიურ ჭადრაკში ორმოც წელს გადაცილებულ მოჭადრაკეთა შორის | 9-დან 7 ქულა. I ადგილი |
| 22 | 1996 წლის 28 დეკემბრიდან 1997 წლის 5 იანვრამდე | დიდი ბრიტანეთი, ჰასტინგსი | მოყვარულთა მსოფლიო მეორე ჩემპიონატი ჭადრაკში | 9-დან 8 ქულა. II ადგილი |
| 23 | 2009 წლის 21-29 აგვისტო | ქობულეთი | საერთაშორისო საჭადრაკო შეჯიბრება „ქობულეთი - 2000" | 9-დან 7 ქულა. I ადგილი |
| 24 | 2004 წლის 20-26 სექტემბერი | თბილისი | სენიორთა საქართველოს ჩემპიონატი | 7-დან 6 ქულა. I ადგილი |
| 25 | 2005 წლის 10-19 აპრილი | თბილისი | თბილისის ჩემპიონატი (ცალკე ითვლება სენიორთა შედეგები) | 9-დან 5,5 ქულა. I ადგილი სენიორებს შორის |
| 26 | 2005 წლის 31 მაისი - 9 ივნისი | თბილისი | საჭადრაკო ფესტივალი „ნონას თასი - 2005" (ცალკე ითვლება სენიორთა შედეგები) | 9-დან 5,5 ქულა. I ადგილი სენიორებს შორის |
| 27 | 2006 წლის 15-28 აგვისტო | თბილისი | სენიორთა საქართველოს ჩემპიონატი | 10-დან 6,5 ქულა. III ადგილი |

# §1. მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

**მერაბ თხელიძე** დაიბადა 1939 წლის 18 ივლისს, თბილისში, მოსამსახურეთა ოჯახში. ამ პარაგრაფში მოგიყვებით მის ბავშვობასა და ოჯახზე, სკოლის პერიოდსა და შემდგომ ცხოვრებაზე - იმაზე, თუ რა მიღწევებითა და დანაკარგებით მოვიდა დღემდე, 80 წლის ასაკამდე.

**მამა: გრიგოლ ალექსის ძე თხელიძე** (1906-1989 წწ.) - ისტორიკოსი, კომუნისტური პარტიის წევრი, სამხედრო კომისარი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ტყვეობაში ნამყოფი. სამშობლოში 1947 წელს დაბრუნების შემდეგ მუშაობდა სამხატვრო-ტექნიკუმში ისტორიის მასწავლებლად და სამნეო ნაწილის გამგედ, შემდეგ - კი (სიცოცხლის ბოლომდე) თბილისის კონიაკის ქარხნის ბიბლიოთეკის გამგედ.

**დედა: თამარ ალექსანდრეს ასული** სამსონია (1908-1959 წწ.) - დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, პარტიული სკოლა, იყო კომუნისტური პარტიის წევრი. სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა საქმეთა ინსპექტორად.

**ბაბუა** - 1948 წელს თხელიძეების ოჯახში საცხოვრებლად გადმოვიდა ბაბუა (დედის მამა) - **ალექსანდრე ოთარის-ძე სამსონია** (1875-1956 წწ.), რომელმაც ოზურგეთში (მახარაძეში) გაყიდა საცხოვრებელი და მთელი ფული (15 ათასი მანეთის ღირებულების 3%-იანი ობლიგაციები) მერაბის დედას, თავის ქალიშვილს, თამარ სამსონიას მისცა.

1950 წლის 2 თებერვალს მერაბის ოჯახს შეემატა მეოთხე წევრი, - დაიბადა მისი და - **მარინა**. მშობლების მოუცლელობის გამო, პატარა მერაბის დაბადებიდანვე მზრუნველობდა, ზრდიდა და მოგვიანებით ყველგან „დააპროწიალებდა“ ინსტიტუტის დაქალებთან ერთად **მამიდა: ეკატერინე (კატუშა, ცაკელო)** (მამის და-ძმები: **დიმიტრი, ოლია, თამარი, ეკატერინე, ნინო, კოლია)**, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა.

**ეკატერინე** უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თავის სოფელ მეორე ობჩაში მასწავლებლად მუშაობდა. მოგვიანებით

ბაღდათის რაიონის სოფელ ქვედა ზეგანში პავლე გუმბერიძეზე გათხოვდა, რომელმაც ძალიან შეიყვარა პატარა მერაბი, მონათლა და ყველანაირად ანებივრებდა.

ამიტომ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მერაბი ზაფხულობით რამდენიმე დღით ჩადიოდა მამის ოჯახში - ობჩაში, შემდეგ - დიდველაში **თამარა** მამიდასთან, მერე მეორე სვირში - **ოლია** მამიდასთან და მთელს დარჩენილ დროს ატარებდა ქვედა ზეგანში, **კატუშა მამიდასა** და **ბიძია პავლესთან. კატუშა მამიდა**, მისი მეორე დედა, 2019 წლის 18 მარტს გარდაიცვალა.

ბატონი მერაბი აღნიშნავს, რომ მისი ცხოვრების ყველაზე უზრუნველი და საუკეთესო წლები ბავშვობა და სკოლის წლები იყო. 1959 წლის 7 სექტემბრამდე, იმ დღემდე, როდესაც მას დედა ჩააკვდა ხელში, მამამ მიატოვათ და დარჩნენ ის და მისი ცხრა წლის და მარინა ობლად, უსახსროდ და უნუგეშოდ.

სწორედ აქ გამოვლინდა „დედიკოს" ბიჭის საოცარი ბუნება, გამძლეობა, სიჯიუტე, შეუპოვრობა და უსაზღვრო შრომისმოყვარეობის ნიჭი. მოვიყვანთ მის საოცარ ლექსებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულს [3].

## ჩემს დას, მარინას

მე მეძნელება ლექსის დაწერა
დაზე, რომელსაც შვილივით ვზრდიდი,
დაზე, რომელსაც დედა მოუკვდა
დაზე, რომელსაც გზას მე ვუხსნიდი.
დაზე, რომელიც ცხრა წლის დაობლდა,
დაზე, რომელსაც მამა გაექცა,
დაზე, რომელსაც სითბო დააკლდა
მშობლიური და ვისღა გაეცა.
მე მეძნელება ლექსის დაწერა
დაზე, რომელიც ცხრა წლის დაობლდა
და მისი ტოლი სხვა, ბედნიერი,
თოჯინებთან თუ მხოლოდ დაობდა

თვითონ კი გახდა დიასახლისი
ორკაციანი მცირე ოჯახის -
სასმელ-საჭმელი, ბინის გამოგვა,
ჭურჭლის გარეცხვა, ჯაფა მოსწავლის.
აღარ ვიხსენებ იმ დროს სევდიანს,
როცა უსახსროდ დავრჩით ობლები,
თან ვმუშაობდი და სტიპენდიაც -
შიმშილისაგან აღარ მოვკვდებით.
აღარ ვიხსენებ ჩემი დის თვალებს
შემოჩერებულს, ყურადღებიანს,
უნდოდა ჩემში ამოეკითხა რა გველის,
ზუსტად, სწორად და ღიად
და გაჭირვება, სასოწარკვეთა,
როცა არსაით არაფერს ელი,
არ გვასწავლიდნენ კომუნისტები,
რომ არის ძალა, რომ არის ღმერთი
და თუ შესძელი, დადექი მედგრად,
იწამე ღმერთი და ლოცვის ძალა,
მიხედავ დასაც და ძმასთან ერთად,
მას ეყოლება დედაც და მამაც.
გავიდა წლები, დრო შეიცვალა,
ახლა ჩემი და არის ძლიერი,
ორი შვილი ჰყავს - ლევან, ირინა,
და შვილიშვილი, ფეხბედნიერი.
მე კი კვლავ ვებრძვი ვერაგ ცხოვრებას,
უნდა ვარჩინო ცოლი და შვილი
და თვალწინ მიდგას ჩვენი წარსული
ჩვენი ობლობა ჩემი და შენი.



შვიდი წლის მერაბი დედამ სასწავლებლად მიიყვანა თბილისის ი.ბ. სტალინის სახელობის პირველ საშუალო სკოლაში, სადაც ის გამოჩენილი პიროვნებებისა და პარტიული ლიდერების შვილების კლასში მოხვდა. ჩამოგითვლით მის რამდენიმე კლასელს: **ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გელა ჩარკვიანი, გურამ დოჩანაშვილი, ჯუანშერ ლაღიძე.** კლასელები ნახეთ შემდეგ სურათებზე:

**მერაბ თხელიძე** მეორე რიგში მარჯვნიდან მესამეა



ასავა
დასავალი
2000 წლის 11 - 17 დეკემბერი № 50 (331) ფასი 50 თეთ

ზვიადისა და მერაბის კლასი

რუბრიკის პრემიერა

**მერაბ თხელიძე** ზედა მარცხენა კუთხეშია.

ბატონ მერაბს ბევრი საინტერესო ამბავი აქვს მოთხრობილი თავის კლასელებზე. მისი მოგონებები, გამოქვეყნდა [4]-ში.

**მერაბ თხელიძე**, როგორც ოქროს მედალოსანი, უგამოცდოდ ჩაირიცხა (ასევე შეეძლო უგამოცდოდ ჩარიცხვა სპორტული სიითაც, როგორც საქართველოს ჩემპიონს ჭადრაკში მოსწავლეთა შორის) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წითელ დიპლომზე დაამთავრა. შემდეგ იყო ასპირანტურა და დოქტორანტურა. ჯერ გახდა ფიზ. მათ. მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, შემდეგ კი ფიზ. მათ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



უნივერსიტეტი

ლამაზ მოგონებად დარჩება

წარმატებებით, მერაბ!

და აი, ის წარსდგა ცხოვრების გზის გასაყარზე: ჭადრაკი თუ მათემატიკა? პასუხი ამ კითხვაზე მან 2002 წელს დაწერილი ლექსით გასცა [3]

# ჭადრაკისადმი არ გამიქრა ძველი ტრფიალი

„არავის არ სძინავს ისე აბნეულად,
როგორც რომ ლექსის და ჭადრაკის ოსტატებს“

**პაოლო იაშვილი**

ბავშვობიდანვე მიტაცებდა მე ეს თამაში,
ბედს რომ ეცლია და ოჯახი არ დამნგრეოდა,
ვინ იცის რა გზას ავირჩევდი გულის კარნახით
და ამის იმედს ჩემი მწვრთნელიც ხომ იძლეოდა.

თავის სარჩენად ავირჩიე მათემატიკა
და არცა ვნანობ - დაც და თავიც გადავირჩინე,
თუმცა შორიდან მომიწია ჭადრაკის ცქერა,
ჰობია მხოლოდ, პროფესიად ვერ ავირჩიე

ჭადრაკისადმი არ გამიქრა ძველი ტრფიალი,
იძულებითი არჩევნით დავიარები,
გაორებული, ვით სიზმარში ვცხოვრობ ტიალი,
სხვა ცხოვრებაში ხომ მექნება მე არჩევანი.

ხომ შემეძლება მხოლოდ ჭადრაკს მივუძღვნა თავი,
ხოლო მანამ კი სადაც რამე შეჯიბრს დავლანდავ,
აღარ მოვითმენ, კმარა ადრე რასაც ვითმენდი,
სულით და გულით ვითამაშებ, თავსაც დავკარგავ.

სამ დიდ ჩემპიონს ვეთამაშე, ვეჯექ პირისპირ
და სამივესთვის გამოვძებნე თითო ბილიკი,
როგორ ვცდილობდი, ჩემთვის, თქვენთვის, როგორ ვიბრძოდი
და დავამარცხე სპასკი, ტალი და ბოტვინიკი.

როგორ ვცდილობდი, ვაგროვებდი მანეთს და კაპიკს,
წასვლა მინდოდა ალბიონის მე ქვეყანაში
და აჰა აღსრულდა, მსოფლიოში მე ვარ მეორე,
მოყვარულების დიდ მსოფლიო შეჯიბრებაში.

ჭადრაკისადმი არ გამიქრა ძველი ტრფიალი.
გაორებული, ვით სიზმარში დავიარები,
იმედს ვიტოვებ, იმედი მაქვს არ გავწბილდები,
სხვა ცხოვრებაში რომ მექნება მე არჩევანი!

1960 წლიდან იწყება და დღემდე გრძელდება მერაბ თხელიძის პედაგოგიური საქმიანობა მათემატიკასა და ჭადრაკში. სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებთან. მოვიყვანთ მისი მოღვაწეობის ამსახველ ჩანაწერებს.

## მერაბ თხელიძის შრომითი საქმიანობა: სამუშაო ადგილი, დაკავებული თანამდებობები და წაკითხული დისციპლინების სია

| № | წელი | სასწავლებელი | კათედრა, თანამდებობა | საგანი | ენა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1966-1973 წწ. | საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრი | მიახლოებითი გამოთვლების განყოფილება. უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი. | დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა ამოხსნის რიცხვითი მეთოდები | ქართული |
| 2 | 1966-1972 წწ. | საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი | მათემატიკის კათედრის სალექციო ასისტენტი. | უმაღლესი მათემატიკა. ლექციები, პრაქტიკული. | ქართული, რუსული |
| 3 | 1972-1985 წწ. | ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ეგმ-ის მათემატიკური უზრუნველყოფის კათედრა. უფროსი მასწავლებელი. | გამოთვლითი მეთოდები. ლექციები, პრაქტიკული, ლაბორატორიული. | ქართული, რუსული |
| 4 | 1983-1985 წწ. | საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტი | თეორიისა და მეთოდიკის კათედრა. ჭადრაკის სპეციალიზაციის მასწავლებელი. | ჭადრაკის დებიუტების თეორია. ლექციები, პრაქტიკული, ლაბორატორიული. | ქართული |
| 5 | 1982-1987 წწ. | ჭადრაკის სახალხო უნივერსიტეტი | თეორიისა და მეთოდიკის კათედრა. ჭადრაკის სპეციალიზაციის მასწავლებელი. | ჭადრაკის დებიუტების თეორია. ლექციები, პრაქტიკული, ლაბორატორიული. | ქართული, რუსული |
| 6 | 1985-1989 წწ. | ა.ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი | ინფორმატიკის კათედრა. დოცენტი. | ინფორმატიკის სწავლების მეთოდიკა. ლექციები, პრაქტიკული. | ქართული, რუსული |
| 7 | 1989-2006 წწ. | ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | კომპიუტერების მათემატიკური უზრუნველყოფის კათედრა, დოცენტი. | ინფორმატიკის სწავლების მეთოდიკა. ლექციები, პრაქტიკული. | ქართული, რუსული |
| 8 | 1989-1991 წწ. | ა.ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი | მათემატიკის კათედრა. უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. დოქტორანტურა. | დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა ამოხსნის რიცხვითი მეთოდები | ქართული, რუსული |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 9 | 1993-2000 წწ. | თბილისის ბიზნესისა და საგარეო ურთიერთობების ინსტიტუტი | ინფორმატიკის კათედრის გამგე, პროფესორი. | ინფორმატიკის სწავლების მეთოდიკა. ლექციები, პრაქტიკული ლაბორატორიული. | ქართული, |
| 10 | 1991-2005 წწ. | ს.-ს. ორბელიანის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი | ინფორმატიკის კათედრა, დოცენტი. | გამოთვლითი მეთოდები. ლექციები, პრაქტიკული, ლაბორატორიული | ქართული, რუსული |
| 11 | 2006-2007 წწ. | საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემია | ჭადრაკის განყოფილების უფროსი მასწავლებელი. | ჭადრაკის თეორია და პრაქტიკა. ლექციები, პრაქტიკული, ლაბორატორიული. | ქართული |
| 12 | 2006-2009 წწ. | ი. ჭავჭავაძის თბილისის სახ. უნივერსიტეტი ცენტრი „სპორტის აკადემია“ | მწვრთნელთა ფაკულტეტის ჭადრაკის სპეციალიზაციის მასწავლებელი. | ჭადრაკის დებიუტების თეორია. ლექციები, პრაქტიკული, ლაბორატორიული. | ქართული |
| 13 | 2001-2005 წწ. | ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | კომპიუტერების მათემატიკური უზრუნველყოფის კათედრა. მოწვეული პროფესორი. | საგნის სწავლების მეთოდიკა. სპეც. კურსი. მაგისტრატურა. | ქართული, რუსული |
| 14 | 2004-2005 წწ. | ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | კომპიუტერების მათემატიკური უზრუნველყოფის კათედრა. მოწვეული პროფესორი. | დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა ამოხსნის რიცხვითი მეთოდები. ლაბორატორიული მეც. | ქართული, რუსული |
| 15 | 2005-2006 წწ. | ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | კომპიუტერების მათემატიკური უზრუნველყოფის კათედრა. მოწვეული პროფესორი. | არეთა დეკომპოზიციის მეთოდი მათემატიკური ფიზიკის ამოცანების ამოსახსნელად. ლაბორატორიული. | ქართული |
| 16 | 2005-2006 წწ. | ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | კომპიუტერების მათემატიკური უზრუნველყოფის კათედრა. მოწვეული პროფესორი. | მათემატიკური ფიზიკის განტოლებათა ამოხსნის რიცხვითი მეთოდი. ლაბორატორიული. | ქართული |
| 17 | 2004-2006 წწ. | ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | კომპიუტერების მათემატიკური უზრუნველყოფის კათედრა. მოწვეული პროფესორი. | ინფორმატიკის სწავლების თეორიული საფუძვლები. ლექცია, პრაქტიკული. | ქართული, რუსული |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18 | 2004-2006 წწ. | ივ .ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | კომპიუტერების მათემატიკური უზრუნველყოფის კათედრა. მოწვეული პროფესორი. | მათემატიკური მოდელირებისა და ალგორითმების თეორიის საფუძვლები. ლექციები, ლაბორატორიული. | ქართული |
| 19 | 2009-2011 წწ. | საქართველოს უნივერსიტეტი | ფიზიკური კულტურის კათედრა. ჭადრაკის მწვრთნელი | ჭადრაკის ლექციები დამწყებთათვის. ლექციები, პრაქტიკული. | ქართული, რუსული |
| 20 | 2009-2011 წწ. | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტი. მოწვეული პროფესორი. | გამოყენებითი მათემატიკა და მოდელირება. | ქართული, რუსული |
| 21 | 2010-2012 წწ. | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | ინფორმატიკისა და მართვის ფაკ. მოწვეული პროფესორი. | ინფორმატიკის სწავლების მეთოდიკა სკოლამდელ ასაკში და დაწყებით სკოლაში. დოქტორანტურა. | ქართული, რუსული |
| 22 | 2011 წლის ივლისი - ოქტომბერი | თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი | მათემატიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი. | გამოყენებითი მათემატიკა და მოდელირება | ქართული |
| 23 | 2011-2012 წწ. | საზოგადოება „ცოდნის" სასწავლო უნივერსიტეტი | უმაღლესი მათემატიკის კათედრა. მოწვეული პროფესორი. | უმაღლესი მათემატიკა. ლექციები, პრაქტიკული. | ქართული |
| 24 | 2012-2015 წწ. | საზოგადოება „ცოდნის" სასწავლო უნივერსიტეტი | ფიზიკური კულტურის კათედრა, ჭადრაკის მწვრთნელი. | ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები | ქართული |
| 25 | 2013-2015 წწ. | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | უმაღლესი მათემატიკის დეპარტამენტი, მოწვეული პროფესორი. | უმაღლესი მათემატიკა. ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები | ქართული, რუსული |
| 26 | 2014-2018 წწ. | საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | მწვრთელთა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. | ჭადრაკის ლექციები, პრაქტიკული, ლაბორატორიული. | ქართული, რუსული |

# მერაბ თხელიძის შრომითი საქმიანობა სკოლებში

## სამუშაო ადგილი, დაკავებული თანამდებობები და წაკითხული დისციპლინების სია

| № | წელი | სასწავლებელი, სკოლა | თანამდებობა, საგანი | ენა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 1960-1962 წწ. | თბილისის ბავშვთა საჭადრაკო სპორტული სკოლა. თბილისის I საშუალო სკოლა. | ჭადრაკის მასწავლებელი | ქართული |
| 2 | 1963-1964 წწ. | თბილისის კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლი | ჭადრაკის სექციის ხელმძღვანელი | ქართული, რუსული |
| 3 | 1965-1966 წწ. | ვ.მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზ.მათ სკოლა-ინტერნატი | პიონერ-ხელმძღვანელი, მათემატიკის მასწავლებელი, ჭადრაკის წრის ხელმძღვანელი. | ქართული |
| 4 | 1974-1976 წწ. | თბილისის ბავშვთა საჭადრაკო სპორტული სკოლა | ჭადრაკის წრის ხელმძღვანელი | ქართული |
| 5 | 1987-1990 წწ. | თბილისის 57-ე საშ. სკოლა | მათემატიკის მასწავლებელი | ქართული |
| 6 | 1988-1989 წწ. | თბილისის 55-ე საშ. სკოლა | ინფორმატიკისა და მათემატიკის მასწავლებელი | ქართული |
| 7 | 1990-1999 წწ. | თბილისის 22-ე საშ. სკოლა | მათემატიკისა და ინფორმატიკის მასწავლებელი | ქართული |
| 8 | 2005-2008 წწ. | თბილისის კეთილშობილ ქალთა და ვაჟთა საგანმანათლებლო პანსიონი „მთიები“ | მათემატიკისა და ჭადრაკის მასწავლებელი | ქართული |

25 წლის მერაბმა ცოლად მოიყვანა 20 წლის პირველკურსელი მათემატიკოსი დიანა საიქოძე (დაბადებული 20.10.1944) და დღეს არის ორი ქალიშვილის - თამარის (დაბადებული 22.12.1967) და თინათინის, (დაბადებული 30.06.1971) მამა და ორი შვილიშვილის, (თამარის მხრიდან) მიშიკოსი (22 წლის) და ნიკოლოზის (10 წლის) ბაბუა.



**თინათინი, მერაბი, თამარი, დიანა**



**გიორგი სიბაშვილი და მერაბ თხელიძე, მოსწავლე და მასწავლებელი თბილისი 2020.**

# §2. პედაგოგიური საქმიანობა - მათემატიკა და ჭადრაკი





**მერაბ თხელიძე თავის მოჭადრაკე მოსწავლეებთან, 1962 წელი.**

უკვე ჩამოვთვალე ის დაწესებულებები და თანამდებობები, რომლებიც ეკავა მერაბ თხელიძეს. ფაქტია რომ მისი შრომითი საქმიანობა 1960 წლიდან დღემდე - პედაგოგობაა ჭადრაკსა და მათემატიკაში. მათემატიკას ასწავლიდა კომაროვის სახელობის

მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ა.შ. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მისი საჭადრაკო მწვრთნელობა ძალიან ადრე, 1960 წლიდან იწყება და დღემდე გრძელდება. ვისაუბროთ კვლავ ფოტოსურათების ენით.



**მერაბ თხელიძე სტუდენტებთან მათემატიკის ლექციაზე**

## §3. მერაბ თხელიძე როგორც პრაქტიკოსი და თეორიტიკოსი მოჭადრაკე

თხრობას დავიწყებ დიდი ავსტრიელი მწერლის, **სტეფან ცვაიგის** სიტყვებით: *„ჭადრაკი, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო, უკეთესია, ვიდრე ადამიანის ყველა წიგნი და ქმნილება. იგი ერთადერთი თამაშია, რომელიც ყველა ხალხის და ყველა ეპოქის კუთვნილებაა“.*და გავაგრძელებთ ჭადრაკში მსოფლიოს მერვე ჩემპიონის, **მიხეილ ტალის** სიტყვებით: *„ჭადრაკი არის ჩემი სამყარო, არა სახლი, არა სიმაგრე, რომელშიც მე ვემალები ცხოვრებისეულ პრობლემებს, არამედ სამყარო, რომელშიც მე ვცხოვრობ სავსე ცხოვრებით, რომელშიც მე გამოვხატავ საკუთარ თავს“.* ეს ციტატა ზუსტად შეესაბამება **მერაბ თხელიძის**, როგორც პრაქტიკოსი და თეორიტიკოსი მოჭადრაკის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

## §3.1. საჭადრაკო ნათლობა. ადრეული შემოქმედება (1953-1959 წწ.)

მერაბ თხელიძის ჭადრაკით გატაცება უცნაურად დაიწყო. პატარობისას თბილისის პარკში ან ბაღში სეირნობის დროს ძალიან უკვირდა - პენსიონერები როგორი აზარტით თამაშობდნენ ჭადრაკს, დააინტერესა ამან, მიაყურადა და დაისწავლა ყველა ფიგურის სვლები, ვერ შეძლო მხედრის სვლების გაგება.

მონოგრაფიაში ,,64 წელი ჭადრაკის სამყაროში’’ [2], **მერაბ თხელიძე** იხსენებს: „მეოთხე კლასში გადავედი, როდესაც ზაფხულის არდადეგების დროს დედამ სამსახურში მიცემული უფასო საგზურით დასასვენებლად გამაგზავნა ქვიშხეთის პიონერთა ბანაკში. იმ დროისათვის მე ვიყავი დაბალი, გამხდარი, საკმარისად შეუხედავი ბიჭი, მუდამ გაბმული ბიჭებთან საქმეების გარჩევაში, ჩხუბებში, რომლებიდანაც მუდამ გალახული გამოვდიოდი, ვერ ვიტანდი და ახლაც ვერ ვიტან უსამართლობას და...

ამიტომ გალახული გამოვდიოდი მაშინაც და დღესაც!.. აქ გამიღიმა ბედმა: ბანაკის სამნეო ნაწილის გამგის შვილმა, ახოვანმა და ჭკვიანმა მეხუთე კლასელმა, რომლის სახელი სამწუხაროდ აღარ დამამახსოვრდა, თავისი მფარველობის ქვეშ ამიყვანა. ვერავინ მიბედავდა ცერად შეხედვასაც კი, მოჰქონდა ჩემთვის სხვადასხვა სასუსნავი, მაშინ არ მესმოდა რატომ მექცეოდა ასე. დღეს ვიცი - ალბათ ძალიან ვეცოდებოდი და რაც ყველაზე მთავარია, მასწავლა ჭადრაკის თამაში. აი, ვინ იყო ჩემი პირველი მასწავლებელი ჭადრაკში" . [2].

1951 წელს მე-5 კლასელებმა: **ნუგზარ ჩანტლაძემ, თენგიზ მაჩალაძემ, ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ, გურჯი ფხალაძემ და მერაბ თხელიძემ**, გაკვეთილების შემდეგ პიონერთა სასახლეს კალათბურთის წრეში ჩასაწერად მიაშურეს. ისე მოხდა, რომ ვერც კალათბურთის წრეში და ვერც მაგიდის ჩოგბურთის წრეში ვერ ჩაეწერნენ. კაბინეტების დათვალიერების დროს, ზვიადმა და მერაბმა შეიხედეს ჭადრაკის წრის კაბინეტში. მასწავლებელს თავისი მოსწავლეები ეგონა ისინი და მიიპატიჟა. მას ხათრი ვეღარ გაუტეხეს და ასე მოხვდნენ ჭადრაკის წრეში. მასწავლებელი ენერგიული სახის მელოტი კაცი, აღმოჩნდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მწვრთნელი ვახტანგ ქარსელაძე,რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული საქართველოში ქალთა ჭადრაკის სკოლის შექმნა და მისი აღზევება. ჩამოვთვალოთ ეს ქალბატონები: **ლიანა ხაჭაპურიძე, ელისო კაკაბაძე, მანანა ტოგონიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია.** მან გამოზარდა ვაჟ მოჭადრაკეთა პლეადაც: **გივი გამრეკელი, თამაზ და გურამ კალატოზიშვილები, იური ჩიქოვანი, დავით ჯანოევი, ალექსანდრე იზვოზჩიკოვი, თამაზ გიორგაძე, ალეკო ბოკუჩავა** და სხვები, მათ შორის **მერაბ თხელიძეც**, მისი კლასელები არ დაინტერესდნენ ჭადრაკით და მალე მიატოვეს წრე. ის კი შემორჩა და ასე დაიწყო მისი საჭადრაკო ოდისეა, რომელიც უკვე 68 წელია გრძელდება. 1953 წელს უკვე მეორე



1953 წელი, ბათუმი, საქართველოს გუნდური პირველობა მოსწავლეებს შორის. შეხვედრა სოხუმის და თბილისის IV გუნდებს შორის (მარჯვნიდან ბოლო დაფაზე მერაბ თხელიძე)

თანრიგოსანი მოჭადრაკე იყო. მისი საჭადრაკო ნათლობა ბათუმში მიმდინარე საქართველოს გუნდურ ჩემპიონატზე, თბილისის მეოთხე გუნდში, ბოლო, მეხუთე დაფაზე, (**კაზარიანის, ლომაიას, აბოიანის, გამბარიანის,** შემდეგ) შედგა. 7-დან 7 ქულა აიღო და ამიტომ დაუშვეს საქართველოსმოსწავლეთა ჩემპიონატში 1953 წლის 8-25 ივლისს, რომელშიც 11-დან 3,5 ქულით ბოლო ადგილები გაიყო **ედუარდ გერსამიასთან**. ასე გამოვიდა მერაბი საჭადრაკო ასპარეზზე.

მოვიყვანოთ რამდენიმე პარტია **მერაბ თხელიძის** ადრეული შემოქმედებიდან (1953-1959 წწ.).

1. **თამაზ კალატოზიშვილი** (თბ., I თან.) - **მერაბ თხელიძე** (თბ., II თან.) საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატი. ბათუმი, 1953 წ.

ძველინდური დაცვა A05

„ჩემი პირველი პარტია პირველ სერიოზულ ტურნირში და თანაც საქართველოს მოსწავლეთა 1952 წლის ჩემპიონთან“

**17...♕c5+!?** [17...♘d4! 18.♕e4 ♕xe4 19.♗xe4 ♘e2+ 20.♔h1 ♘xc1 21.♖xc1 ♘xf4∓] **18.d4 ♘xd4 19.cxd4?!** [19.♗e3 ♖b8 20.♕e4 ♘e2+ 21.♔f2 ♕b5 22.♘d3 ♘f6 23.♕f3 ♕xd3 24.♖ad1 ♕a6–+] **19...♗xd4+ 20.♔h1 ♘g3+ 21.hxg3 ♕h5+ (თეთრები დანებდნენ). 0–1**

1.♘f3 ♘f6 2.g3 g6 3.♗g2 ♗g7 4.d3 d6 5.0–0 0–0 6.e4 e5 7.♘e1♘h5 8.♘c3 ♘c6 9.♘d5 ♗e6 10.♘e3 ♕d7 11.c3 ♖ad8 12.f4 exf4 13.gxf4 f5 14.exf5 ♗xf5 15.♘xf5 ♕xf5 16.♕b3+ ♔h8 17.♕xb7



დადგა დრო დაწვრილებით მოგითხროთ მოსწავლეთა საკავშირო გუნდური პირველობების შესახებ. ,,ჩვენი ოცნება იყო მოვხვედრილიყავით გუნდში, რომელშიც 10 ჭაბუკი და 2 გოგონა იყო 1954 წელს, ხოლო 1955-1957 წლებში - 8 ჭაბუკი და 4 გოგონა. შეკრებებს ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ოსტატი **ვიქტორ გოგლიძე**, მთავარი მწვრთნელი - **ვახტანგ ქარსელაძე.** ისინი აყალიბებდნენ გუნდს შესარჩევი ტურნირისა და საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით''. [2].

საბჭოთა კავშირის გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის, საქართველოს ნაკრების გუნდში მოსახვედრად, 1954 წლის 29 ივნის-14 ივლისს ქობულეთში ჩატარდა შესარჩევი ტურნირი. გუნდში თავისუფალი იყო სამი ადგილი. მერაბ თხელიძემ 10-დან 6,5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა, პირველი თანრიგის

ნორმატივიც შეასრულა და გუნდშიც მოხვდა. ამ წლიდან მოყოლებული საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების უცვლელი წევრია: 1954 წელი: ლენინგრადი, მე-10 დაფა; 1955 წელი: რიგა, VIII დაფა; 1956 წელი: ლენინგრადი, II დაფა; 1957 წელი: ვლადიმირი, I დაფა საქართველოს ჩემპიონის რანგში.

**1954 წელს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა** საბჭოთა კავშირის გუნდურ ჩემპიონატში V ადგილი დაიკავა, რაც დიდი მიღწევა იყო. სურათზე გამოსახულია ეს გუნდი.

I რიგი: **გიგლა გაჩეჩილაძე, ვიქტორ გოგლიძე, ანდრო ღონღაძე (ექიმი), ანდრო გამრეკელი (ექიმი).**
II რიგი: **გურამ კალატოზიშვილი, ედუარდ გერსამია, მერაბ თხელიძე, გურამ მაჭავარიანი, ვლადიმერ სმირნოვი, თემურ ლომაია, იური ვეტოხინი, დავით ჯანოევი.**



**2. ლიტვინოვი** (ბელორუსია, ო/კ) - **თხელიძე** ( საქართველო, I თან.) საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა გუნდური პირველობა. ვლადიმირი, 1957 წ. ძველინდური დაცვა **E87**

**1.c4 ♘f6 2.♘c3 g6 3.d4 ♗g7 4.e4 0–0 5.f3 d6 6.♗e3 e5 7.d5 ♘e8 8.♕d2 c5 9.h4 h5?! 10.g4 ♘f6 11.♗g5 ♕e8 12.♗xf6 ♗xf6 13.gxh5 ♕e7 14.hxg6 ♗xh4+ 15.♔d1 fxg6 16.♕h2 g5?! 17.♗h3 ♗xh3 18.♕xh3 ♘d7 19.♘ge2 ♘b6 20.b3 ♕f6 21.♖f1 ♘c8 22.♔c2 a6 23.a4 ♖f7 24.♘d1 ♘e7 25.♘e3 ♖af8 26.♖ad1 ♕g6 27.♖d3 ♖h7 28.♕e6+ ♖hf7 29.♘f5 ♕xe6 30.dxe6 ♖xf5 31.exf5 ♘xf5 32.♖g1 ♖f6 33.♘c3 ♘d4+ 34.♔b2 ♖xe6 35.♘e4 ♖g6 36.a5 ♔f8 37.♖g2 ♔e7 38.♔a3 ♘c6 39.♔a4 ♗e1 40.♖xg5 ♖xg5 41.♘xg5 ♗xa5 42.♖d1** (აქ პარტია გადაიდო. დიაგრამაზე მითითებული პოზიცია დაიბეჭდრა ჟურნალში “Шахматы в СССР”, 1957, №12, რომელშიც განხილულია მოსწავლეთა საკავშირო გუნდური პირველობის შედეგები და მოყვანილი იყო ეს პოზიცია, როგორც ლამაზი ენდშპილის მაგალითი).



**42...♗b4! 43.♖h1 ♔d7 44.♖h7+ ♘e7 45.♘f7 b6 46.♖g7 ♘d5 47.♘xe5+ ♔e6 48.♖g6+ ♔f5**

(თეთრები დანებდნენ)

**0–1**

## დავით ბრონშტეინი (1924-2006 წწ.)

ს/დ, მსოფლიოო ჩემპიონობის პრეტენდენტი, 1951 წელს ითამაშა მატჩი მსოფლიოს მაშინდელ ჩემპიონთან მიხეილ ბოტვინიკთან, რომელიც ფრედ, 12-ით-12 დამთავრდა.

1952 წლის 2 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო დიდოსტატმა **დავით ბრონშტეინმა** გამართა ერთდროული თამაშის სეანსი 30 დაფაზე, რომელშიც **მერაბ თხელიძეც** მონაწილეობდა. გთავაზობთ ამ პარტიას.

### 3. დავით ბრონშტეინი - მერაბ თხელიძე (ო/კ)

სიცილიური დაცვა. B40

**1.e4 c5 2.♘f3 e6 3.d4 cxd4 4.♘xd4 ♘f6 5.♘c3 ♗b4 6.e5 ♘e4 7.♕g4 ♘xc3 8.a3 ♕a5**



**9.axb4** (მივიღეთ ე.წ. სიცილიური შეტევა [9.♕xg7 ♖f8 10.♗d3 ♘c6 11.♘xc6 bxc6 12.♗d2 ♗e7 13.♗xc3 ♕a4 14.0–0–0 ♕f4+]

**9...♕xe5+** მერაბ თხელიძე წერს [2]: „მახსენდება როცა ეს სვლა გავაკეთე **ბრონშტეინმა** ჩაიცინა და მითხრა, რა უცნაური ახალგაზრდა ხარ, ეტლს გთავაზობ, შენ კი პაიკს იღებო".

**10.♘e2 f5 11.♕c4 ♘xe2 12.♕xc8+ ♔f7 13.♕xh8 ♘xc1+ 14.♔d1 ♘b3 15.cxb3 ♕d4+ 16.♔c1 ♕f4+ 17.♔b1 ♕e4+ 18.♔a2 ♘c6 19.♕xa8 ♘xb4+ 20.♔a3 ♘c2+ 1/2-1/2**

## პედაგოგები

ადრეული პერიოდის საჭადრაკო მოღვაწეობაზე საუბრის დროს მერაბ თხელიძე შემდეგ ისტორიას იხსენებს: **„ვიქტორ მასწავლებლის ყველას ძალიან გვეშინოდა, ვახტანგ მასწავლებელიც კი დიდი მოწიწებით ექცეოდა. მისი სიტყვა კანონი იყო. მაგრამ ყველა მოსწავლე ხვდებოდა, რომ მე განსაკუთრებულად მექცეოდა. ფაქტიურად ყველა ცელქობას მპატიობდა. ის კი არა და თავისთან სახლში მიბარებდა და კვირაში ორჯერ ცალკე მამეცადინებდა. მართალია ისიც, რომ ხშირად გავუკიცხივარ „გიჟური" თამაშის გამო. „კანატონოსეცს" ანუ ცირკში თოკზე მოსიარულე კლოუნს მეძახდა, არავინ იცის როდის ჩამოვარდებიოო.**" [2]. ამ პერიოდში, 1955–1959 წლებში, ბატონები **ვიქტორ გოგლიძე** და **ვახტანგ ქარსელაძე** მერაბ თხელიძეს შთააგონებდნენ, რომ მას აქვს განსაკუთრებული საჭადრაკო თეორიტიკოსის ნიჭი და მოითხოვდნენ მისგან თეორიული ვარიანტების შექმნა-დამუშავებას. ასეთი შექებით ფრთაშესხმულმა მერაბმა ჭადრაკში ბევრი თეორიული სიახლე შემოიტანა და დღემდე აგრძელებს სადებიუტო „ნოვინკების" შექმნას. მათ შორის, გამოვყობ მორას გამბიტს სიცილიურ დაცვაში, პონციანის დებიუტს, ვარიანტებს 7...კg4 და 4... კc5 ესპანურ პარტიაში, ბუდაპეშტურ



ვიქტორ გოგლიძე



ვახტანგ ქარსელაძე

პარტიას და სხვა. მაგალითისთვის მოვიყვან ერთ ასეთ პარტიას მისი „ნოვინკით“.

## **4. მერაბ თხელიძე** (I თან.) - **იური ვეტოხინი** (ო/კ) თბილისის ვაჟთა ჩემპიონატი. თბილისი, 1959 წ. სიცილიური დაცვა. მორას გამბიტი. B21

**1.e4 c5 2.d4 cxd4 3.c3 dxc3 4.♘xc3 e6 5.♘f3 ♗b4 6.♕d4 ♗xc3+ 7.♕xc3?!** (მერაბი: „მოგვიანებით გავიგე, რომ თეთრების ეს ვარიანტი დამუშავებული ჰქონიათ იუგოსლავ დიდოსტატებს მატანოვიჩს, მარიჩს და სხვებს, თუმცა მე სხვა გზა ავირჩიე”.) **f6** [7...♘f6 8.♗g5 ♘c6 9.♘e5 ♘xe4 10.♗xd8 ♘xc3 11.♗c7 ♘d5 12.♗d6±]

**8.♘d4?! a6 9.♗e2** [9.♗f4! e5 10.♘f5 d5 11.♘d6++–]

**9...♘e7 10.♗h5+ g6 11.♗f3 0–0 12.♗h6 ♖f7 13.♖d1 ♕e8 14.0–0 ♘bc6 15.♘b3 ♘e5 16.♗e2 d5 17.f4 ♘5c6**



**18.f5! gxf5?! 19.♗h5 dxe4 20.♕g3+ ♘g6** [საჭირო იყო 20...♔h8 21.♗xf7 ♕xf7 22.♕c7 ♕g6 23.♖d8+ ♘xd8 24.♕xe7 ♕xh6 25.♕xd8+ ♔g7 26.♖c1 ♕e3+ 27.♔h1 ♔g6 28.♕g8+ ♔h5 29.♕f7++–]

**21.♗xg6 hxg6 22.♕xg6+ ♔h8 23.♗g7+!** შავები დანებდნენ 1-0

## §3.2. გზა ოსტატობისაკენ (1959-1963 წწ.)

თხრობას დავიწყებ ბატონი მერაბის მოგონებებით: „1956-1959 წლებში ჩემს ოჯახში სამწუხარო ამბები დატრიალდა. 1956 წლის 5 ივნისს გარდაიცვალა **ალექსანდრე ბაბუა**, ხოლო 1959 წლის 7 სექტემბერს - ჩემი ცხოვრების უპირველესი ადამიანი - **დედაჩემი თამარი**. მამამ მალევე მოიყვანა ცოლი და რადგან მე და ჩემმა დამ ვერ შევძელით, რომ სხვა ქალს ეცხოვრა ჩვენთან ერთად ერთ ოთახიან 20 კვ.მ. კომუნალურ ბინაში, რომელშიც ყველა ნივთს დედაჩვენის სურნელი ასდიოდა, გადავიდა საცხოვრებლად ცოლთან. დაგვტოვა ჩვენ უსახსროდ და ულუკმაპუროდ. ამით მან დაგვსაჯა მე და ჩემი ცხრა წლის და მარინა. ალბათ ფიქრობდა მოშივდებათ და თვითონ შემეხვეწებიან - დაგვიბრუნდიო. მე დედულეთში არცერთხელ არ ვყოფილვარ, იქაურ ნათესავებს არ ვიცნობდი, ყოველ ზაფხულს იმერეთში, მამაჩემის სამშობლოში, **მეორე ობჩაში** და მამიდაჩემის ქმრის **პავლე გუმბერიძის**, რომელიც ჩემი ნათლიაც გახდა, სოფელში **ქვედა ზეგანში** ვატარებდი, ძალიან ვუყვარდი ბიძიას და მამიდებს, მაგრამ როგორ გინდა იქიდან უპატრონო თბილისში ბავშვებს. და აი, აქ, მე, დედაჩემის მიერ ნალოლიავებ და განებივრებულ ბავშვს, რომელსაც არასდროს პურიც კი არ უყიდია, კვერცხიც კი არ მოუხარშავს, რაღაც დამემართა. მე ვიგრძენი და მივხვდი, რომ უნდა ვისწავლო დამოუკიდებლად ცხოვრება, დის მოვლა, არავის იმედი არ უნდა მქონდეს, **ჩემს უკან მხოლოდ ღმერთია**...
მაგრამ თურმე არც ეგრეა საქმე. ირგვლივ უამრავი კარგი ადამიანები მახვევია. თქვენთვის ალბათ გასაგებია, როგორი თავგანწირვით ვსწავლობდი უნივერსიტეტში, რომ ერთ-ერთი პირველი სტუდენტი კი არა, პირველი სტუდენტი ვყოფილიყავი, წითელი დიპლომით ასპირანტურაში გავაგრძელე სწავლა. ჩემმა მწვრთნელმა **ვიქტორ გოგლიძემ** თავის საჭადრაკო სკოლაში მწვრთნელად დამაწყებინა მუშაობა, დედაჩემის მეგობარი **ივანე ჯანოევი**, რომელიც ჩემი უახლოესი მეგობრის **დავით ჯანოევის**

მამაა, სხვადასხვა საბაბით მიბარებდა თავისთან სახლში კვირაში სამჯერ მაინც, ვითომ პოკერის საიდუმლოებებს გასწავლიო და მოითხოვდა ჯერ ერთად გვესადილა.

იძულებული გავხდი ჩემი და მარინა სკოლა-ინტერნატში მიმეყვანა და აქ ცხოვრებაში კიდევ ერთხელ გამიღიმა ბედმა: სკოლის დამაარსებელი და დირექტორი **ვარლამ ნიკოლოზის-ძე მელაძე**, ჩემი უახლოესი მეგობრის და კოლეგის **ჰამლეტ მელაძის** მამა აღმოჩნდა. ბატონი ვარლამი მომავალში მიმიწვევს სკოლა-ინტერნატში სამუშაოდ მასთან მეწყვილედ მათემატიკაში და გახდება ჩემი ცხოვრების მასწავლებელი და უფროსი მეგობარი...

მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვნენ და შემომრჩნენ მეგობრები: სკოლიდან - **დემნა ცხაკაია, ოთარ ქიზიყელაშვილი, რუსლან რუხაძე, ზაზა ჩაჩანიძე, თამაზ სანებლიძე, თამაზ ბუღაძე, გურჯი ფხალაძე.** ჭადრაკიდან - **ალექსანდრე იზვოზჩიკოვი, დავით ჯანოევი, თემურ ჯახუტაშვილი, გურამ ჭანტურია, ანზორ ხელაშვილი, თამაზ კიკიანი, ალეკო ბოკუჩავა, ემილ მიქაელიანი.** უნივერსიტეტიდან - **ჰამლეტ მელაძე, ომარ შეშელიძე, ბაია ოქრუაშვილი, ჯონსი უკლება, ლერი არცივაძე, მერაბ ობოლაძე, ანზორ ბერძენიშვილი, თინა ჟორჟოლაძე, ჯემალ ფერაძე, ვაჟა შარაშიძე.**

1956 წლიდან დავიწყე მონაწილეობა მამაკაცთა შორის თბილისის პირველობებში და საქართველოს ჩემპიონატებში მოსახვედრად, რასაც 1960 წლისთვის მივაღწიე კიდეც. ამით დამთავრდა ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი ხანა [2].

მერაბ თხელიძეს ცხოვრებას აზრი დაუბრუნა ჭადრაკის სიყვარულმა. მან შექმნა და მთელი ცხოვრების მანძილზე სრულყოფდა „თავის“ საჭადრაკო დებიუტების თეორიას, რომელსაც დაარქვა „თამაში დასწრებაზე, დებიუტების გეგმიური ცვლა“. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ბატონმა მერაბმა მთხოვა

მასთან ერთად მემუშავა ამ თემატიკაში და ერთად გამოგვეცა წიგნად.

**5. დოროშკევიჩი** (გროზნო, ო/კ) - **მერაბ თხელიძე** (თბილისი)

ნსს „ბურევესტრნიკის“ საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალი, თბილისი, 1961 წ. **ორი მხედრის დაცვა C55**

**1.♘f3 ♘c6 2.e4 e5 3.d4 exd4 4.♗c4 ♘f6 5.0–0 ♗c5 6.e5 ♘g4 7.♗f4 d6 8.exd6 ♗xd6 9.♖e1+ ♔f8 10.♗xd6+ ♕xd6 11.c3 ♘ce5** [11...♕c5 12.♘bd2 d3 13.♘d4 ♘xd4 14.cxd4 ♕xd4 15.♕f3 ♕f6 16.♕g3!±]

**12.♘xe5 ♘xe5 13.♕e2 f6 14.cxd4 ♕xd4 15.♖d1 ♕b6 16.♖d8+ ♔e7 17.♖d5** [17.♖xh8? ♗g4 18.♕c2 ♖xh8∓]

**17...♗e6 18.♘c3 ♘xc4 19.♕xc4 ♔f8 20.♖e1 c6 21.♖xe6 cxd5 22.♕xd5 ♖e8 23.♖xe8+ ♔xe8 24.h4 ♕c6 25.♕d4 b6 26.h5 ♔f7 27.♕d3 ♖e8 28.♕xh7 ♖e1+ 29.♔h2 ♕d6+ 30.♔h3 ♕f4**

**0–1**

**დოროშკევიჩმა** პირველ-მეორე ადგილები გაიყო, ხოლო **მერაბ თხელიძემ** გაიყო მეექვსე-მეშვიდე ადგილები და 17-დან 10,5 ქულით შეასრულა ჭადრაკში ოსტატობის კანდიდატის ნორმა. საინტერესოა, რომ იმავე დღეებში საქართველოს სპორტ. კომიტეტის ჭადრაკის განყოფილებამ ბოლო წლებში წარმატებული თამაშისათვის **მერაბ თხელიძეს** მიანიჭა ოსტატობის კანდიდატის წოდება. ასე გახდა ის ორგზის ოსტატობის კანდიდატი ერთდროულად!

1961 წლის 9 სექტემბერს საქართველოს რვა უძლიერესი ოსტატობის კანდიდატი - საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, ერთდროული თამაშის სეანსში საათებით შეხვდა მსოფლიო მეექვსე ჩემპიონს - მიხეილ ბოტვინიკს. ([5], [6]).

## 6. მერაბ თხელიძე (ო/კ)-მიხეილ ბოტვინიკი

ერთდროული თამაშის სეანსი საათებით 8 დაფაზე
საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან. 09.09.1961
სიცილიური დაცვა B21

**1.e4 c5 2.d4 cxd4 3.c3 d3 4.♗xd3 ♘c6 5.♘f3** [მივიღეთ მორას მიუღებელი გამბიტი. თეორია გვირჩევს: 5.c4 ♘f6 6.♘c3 d6 7.h3 g6 8.♘f3 ♗g7 9.0–0 ♘d7 10.♗e3 ♘c5 და ა.შ; მაგრამ მერაბ თხელიძეს „თავისი" თეორიული ვარიანტი აქვს]

**5...g6 6.0–0 ♗g7 7.♗c4 d6 8.♘a3 a6 9.♖e1 ♘f6 10.e5 dxe5 11.♕xd8+ ♘xd8 12.♘xe5 ♗e6 13.♗e3 ♖c8 14.♖ad1 ♘e4 15.♗b6! ♘d6 16.♗b3 ♗xb3 17.axb3 ♘e6 18.♘ac4 ♘xc4 19.♘xc4 ♖c6 20.♖d3 f5 21.f3 ♗f6 22.g3 h5 23.♗f2 ♔f7 24.♘a5 ♖c7 25.♗b6 ♖cc8 26.♖d7 h4 27.♘c4! ♖c6 28.♖xb7 hxg3 29.hxg3 f4 30.gxf4 ♖h3 31.♖e3 ♘xf4**



**32.♖bxe7+! ♗xe7 33.♘e5+ ♔g8 34.♘xc6 ♗h4 35.♗c7 ♗g5 36.♗xf4 ♗xf4 37.♖d3 g5 38.♘e7+ ♔f7 39.♘d5 ♗e5 40.♖e3 ♗d6 41.b4 a5 42.bxa5 ♗c5 43.♔g2** შავები დანებდნენ. **1-0** (იხილეთ [2], [5] და [6] ).

**გენადი სოსონკო** 18.05.1943წწ.

სსრკ, შემდეგში ჰოლანდიელი დიდოსტატი 1976 წლიდან, მწერალი, ჟურნალისტი. 2004 წლიდან ფიდეს დამსახურებული მწვრთნელი.

**7. მერაბ თხელიძე** (თბ; ო/კ)- **გენადი სოსონკო** (ლენინ; ო/კ)
ნსს „ბურევესტნიკის“ საკავშირო ჩემპიონატის ნ/ფ.
ლენინგრადი, 1962 წ.

**1.e4 e6 2.d4 d5 3.♘c3 ♘f6 4.♗g5 ♗b4 5.exd5 ♕xd5** („თურმე მე ვთამაშობ მაკ-კეტჩონის ვარიანტს, რომელშიც განიხილება 5... **♕xd5,** რომელიც ჩემს დასაბნევად ითამაშა სოსონკომ“) **6.♗xf6 gxf6 7.♕d2** [7.♘ge2 ♕a5 8.a3 ♗e7 9.g3 c6 10.♗g2 ♘d7 11.0–0 h5 12.b4 ♕f5 13.b5 c5± 14.d5! „აბა საიდან უნდა მცოდნოდა ინფორმატორში მოყვანილი პარტია მაშინ?“ მითხრა მერაბ თხელიძემ]

**7...♕a5** [7...♗xc3 8.bxc3! ♘d7 9.c4 ♕e4+ 10.♘e2 b6 11.f3 ♕g6 12.♘g3 ♗b7 13.♗d3 ♕g5±]

**8.♗d3 ♘d7 9.♘ge2 ♘b6 10.♕h6 ♔e7 11.0–0 ♕g5 12.♕xg5 fxg5 13.♘e4 ♘a4**



[13...h6? 14.a3 ♗d6 15.c4±]

**14.a3 ♗d6 15.♖fb1 c6 16.c4 ♗c7 17.c5 ♗a5 18.♗c2 f5 19.♘xg5 b5 20.cxb6 ♗a6 21.b4 ♗xb6 22.♖e1 ♔f6 23.♘xe6 ♖he8 24.♘6f4 ♗xe2 25.♘xe2 ♘c3 26.♘xc3 ♗xd4 27.♘a4 ♗xa1 28.♖xa1 a5 29.♘b6 ♖a7 30.bxa5 ♖xa5 31.g3 ♖d8 32.♘c4 ♖c5 33.♘e3 ♖c3 34.♖a2 ♖d2 35.a4 ♔e5 36.a5 f4 37.gxf4+ ♔xf4 38.♖a4+ ♔f3 39.♗e4+ ♔e2 40.♔g2 ♖d7 41.♖a2+ ♖d2 42.♗f3+ ♔d3 43.♖a4 ♖b2 44.♘d1 1–0**



**ბორის სპასკი** - დაიბადა ლენინგრადში 1937 წლის 30 იანვარს. დიდოსტატია 1955 წლიდან, მსოფლიო მეათე ჩემპიონი 1969-1972 წლებში. მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა სამი მატჩი: **1966** წელს დამარცხდა ტიგრან პეტროსიანთან, **1969** წელს დაამარცხა ტიგრან პეტროსიანი, **1972** წელს დამარცხდა რობერტ ფიშერთან.

**8. მერაბ თხელიძე** (ო/კ)- **ბორის სპასკი** (ს/დ, სსრკ ჩემპიონი)
მოსკოვი, 1963 წ. პონციანის დებიუტი **C44**

1.e4 e5 2.♘f3 ♘c6 3.c3 d5 4.♗b5 dxe4 5.♘xe5 ♕g5?! (შეთანხმების თანახმად

სავალდებულო სვლებია. საინტერესოა ამ პარტიასთან დაკავშირებული ისტორია: 1963 წლის 28 იანვრიდან 8 თებერვლამდე მოსკოვში ჩატარდა ნსს „ბურევესტნიკის" მესამე გუნდური საკავშირო ჩემპიონატი უმაღლეს სასწავლებლებს შორის. მერაბ თხელიძე იყო თსუ-ის გუნდის კაპიტანი და თამაშობდა მესამე დაფაზე. ლენინგრადის უნივერსიტეტის გუნდს ხელმძღვანელობდა მსოფლიო IV ჩემპიონი ქალებში, **ოლღა რუბცოვა**, ხოლო გუნდის მწვრთნელი იყო **ბორის სპასკი**, მსოფლიოს წამყვანი დიდოსტატი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ექვსი წლის შემდეგ მსოფლიოს მე-10 ჩემპიონი. მათ გუნდში მესამე დაფაზე თამაშობდა სპასკის პირადი მოსწავლე, სპორტის ოსტატი, **ვასილ ნეკრასოვი**, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. **მერაბ თხელიძე ბორის სპასკს** და **მიხეილ ტალს** 1955 წლიდან იცნობდა, რიგაში მოსწავლეთა საკავშირო გუნდური პირველობიდან მოყოლებული, ტალი მეგობრობდა ქართველ მოჭადრაკეებთან. განსაკუთრებით დაუახლოვდა **მერაბ თხელიძეს** და **გურამ კალატოზიშვილს. სპასკი** ძალიან სიმპატიური, მაგრამ ყოყლოჩინა და უკარება ახალგაზრდა იყო. მასავით ყოყლოჩინობდა მოსკოვში მისი მოსწავლე **ნეკრასოვიც**.

რა დროიდანაც მე ვიცნობ ბატონ მერაბს, ჩემს უფროს მეგობარსა და მწვრთნელს, მის საჭადრაკო კრედოს, ვხედავ, რომ ის განსაკუთრებული ჟინითა და შემართებით თამაშობს ძლიერ მოჭადრაკეებთან. ასე მოხდა **ნეკრასოვთან** თამაშის დროსაც. მან ისიც გაითვალისწინა, რომ **ბორის სპასკის** თავის გამოკვლევები აქვს საჭადრაკო დებიუტებში.

მათ შორის პონციანის დებიუტშიც. ამიტომ **ნეკრასოვთან** 1.e4 e5 2.♘f3 ♘c6-ის შემდეგ განგებ ითამაშა 3.c3. პარტია ასე გაგრძელდა: 3...d5 4.♗b5 dxe4 5.♘xe5 ♕g5?! 6.d4?! ♕xg2 7.♖f1 ♘ge7 8.d5 a6 9.dxc6 ♘xc6 10.♗xc6+ bxc6 11.♕a4 ♗d6 12.♕xc6+ ♔e7 13.♘c4 ♗h3 14.♘e3 ♕xh2 15.♕xe4+ ♔d7 16.♖h1 და შავები დანებდნენ. პარტიის დამთავრების შემდეგ გასარჩევ ოთახში შესვლისას **ბორის სპასკიმ** უსაყვედურა **ნეკრასოვს** და საკმაოდ აგდებულად მოიხსენია მერაბიც, ამაზე მერაბი შეეპასუხა. სიტყვა სიტყვას მოყვა და სპასკიმ შესთავაზა მერაბს - ხვალ დასვენების დღეა და თუ ასე გჯერა შენი ვარიანტის, ვითამაშოთ კონსულტაციური პარტია ამ ვარიანტითო. მსაჯობა იკისრა **ოლღა რუბცოვამ.**

**6.d4?! ♕xg2 7.♖f1 ♘ge7** [7...♗d7? 8.♘xd7 ♔xd7 9.d5+–; 7...♗h3 8.♘xc6 bxc6 9.♗xc6+ ♔d8 10.♘d2 ♖b8 11.♗xe4 ♕g5 12.♖h1±; 7...♗d6! 8.♕h5 g6 9.♕h4 ♗d7 10.♘xc6 a6 11.♗a4 ♗xc6 12.♗xc6+ bxc6 13.♗f4]

**8.d5 ♗h3 9.dxc6 bxc6 10.♗c4 ♘g6 11.♘xf7 ♗e7 12.♗e3 ♖f8 13.♕a4 ♗d7 14.♘d2 ♕g4 15.♘xe4 ♖xf7** [15...♕xe4 16.♘d6+ ♗xd6 17.♗f7+ ♖xf7 18.♕xe4++–]

**16.♗xf7+ ♔xf7 17.♘g5+ ♗xg5 18.♕xg4 ♗xg4 19.♗xg5 ♘e5**



**20.f4 ♘d3+** [20...♘f3+ 21.♔f2±]

**21.♔d2 ♘xb2 22.♖ae1 ♔f8** [22...♗e6 23.f5! ♗xa2 24.♖e7+ ♔g8 25.f6+–; 22...♘c4+ 23.♔d3 ♘d6 24.♖e7+±]

**23.f5 ♘c4+ 24.♔d3 ♘d6 25.f6** (შავები დანებდნენ. მერაბ თხელიძე: „არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ბორის სპასკი ადგა, ხელი ჩამომართვა და მითხრა: "спасибо за игру" (მადლობა თამაშისათვის). **1–0** ([2], [7]).

აღნიშნული პარტიის შესახებ საინტერესოდ დაწერა ჟურნალისტმა ზაზა დავითაიამ [1].



მერაბ თხელიძე:

დამარცხებით განერვიულებულმა ბოტვინიკმა ჭადრაკის ფიგურები სახეში შემომაყარა!

## ბუხუტი გურგენიძე 1933-2008 წწ.



პირველი ქართველი დიდოსტატი 1970 წლიდან, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ცხრაჯერ ითამაშა სსრკ ჩემპიონატის ფინალში. სსრკ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი. წლების განვალობაში იყო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

**9. ბუხუტი გურგენიძე** (ს/ო)- **მერაბ თხელიძე**

თბილისი, ო/კ) საქართველოს ჩემპიონატის ფინალი. თბილისი, 1963 წ.

ესპანური პარტია **C64**

**1.e4 e5 2.♘f3 ♘c6 3.♗b5 ♗c5 4.0–0 ♘d4 5.♘xd4 ♗xd4 6.c3 ♗b6 7.d4 c6 8.♗a4 d6 9.♘a3**



მერაბ თხელიძე აღნიშნავს: „ძალიან მესიამოვნა, როცა ბუხუტი ადგა, ხელი ჩამომართვა, მაკოცა და მითხრა - ყოჩაღ! ამ დღიდან დაიწყო ჩვენი ნამდვილი მეგობრობა, რომელიც მის გარდაცვალებამდე, შორეულ 2008 წლის 23 მაისამდე, 45 წელი გრძელდებოდა“ [2].

დავიხმარებ მერაბ თხელიძის კომენტარს: „ამ ტურის წინ ბუხუტი ქულა-ნახევრით მისწრებდა და ძალიან მიწდოდა მისთვის მომეგო. ამიტომ ვითამაშე ჩემი 3... **♗c5.** რითაც იწყება კორდელის ვარიანტი და დაფაზე მოვიფიქირე გაგრძელება, **9...♕f6**“ [2].

**9...♕f6?!** „რადგან არ მომწონდა არც 9...♕e7 10.d5! ♗d7 11.♘c4 c5 12.f4±; არც 9...♗c7 10.d5 ♗d7 11.dxc6 bxc6 12.♘c4±; არც 9...♘f6 10.♗c2 ♗e6 11.♗g5 h6 12.♗xf6 ♕xf6 13.d5 ♗d7 14.♘c4 ♗c7 15.♕d3±; და არც 9...exd4 10.cxd4 ♘e7 11.♗g5 f6 12.f4 0–0, ამიტომ ვითამაშე 9...♕f6... მომდევნო გართულებებით.

**10.d5 ♘e7 11.♘c4 0–0 12.dxc6 bxc6 13.♕xd6 ♗e6 14.♗b3 ♘g6 15.♘xb6 axb6 16.♗xe6 ♖ad8! 17.♕xc6** (არ ვარგა 17.♗xf7+? ♕xf7 18.♕xc6 ♕xf2+ 19.♖xf2 ♖d1+ 20.♖f1 ♖dxf1#]

**17...fxe6 18.♗e3 ♘h4 19.f4 ♕g6 20.g3 ♕g4 21.♔h1**



**21...exf4 22.♗xf4 ♖xf4 23.gxh4 ♖f2! 24.♖xf2 ♖d1+ 25.♖xd1 ♕xd1+ 26.♔g2 ♕g4+ ½–½**

ბატონი მერაბი იხსენებს შემდეგ ეპიზოდს: „როდესაც ბუხუტი დაამთავრებდა თავის პარტიას და დაჯდებოდა გასარჩევად, ჩვენ ყველა მონაწილეები შემოვუსხდებოდით და გაფაციცებით ვუსმენდით მის კომენტარებს, თუ რატომ გააკეთა ესა თუ ის სვლა. ერთხელ გურგენიძემ ადრე დაამთავრა პარტია როდესაც შემოუსხდნენ მაგიდას მან რატომღაც არ დაიწყო გარჩევა, როცა კითხეს რას უცდითო, მან უპასუხა, ჯერ მერაბ თხელიძეს პარტია არ დაუმთავრებია და უმისოდ გარჩევას ვერ დავიწყებ, რადგან მხოლოდ ის ხვდება თუ რატომ ვთამაშობ ამა თუ იმ სვლასო. ყველა გაშრა. როცა მე შევუერთდი მათ და ეს ამბავი მითხრეს ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი. მე და ბუხუტი მეზობლად ვცხოვრობდით, ვმეგობრობდით და ერთად დავდიოდით სახლში. გზაში ვთხოვე, ჩემზე ეგეთ რამეებს ნუ ამბობ, თორემ მოშურნეები გამიჩდებათქო. მან გაიცინა და მიპასუხა, რა მართალს არ ვამბობ, შენისთანა კომბინაციური ნიჭის მოჭადრაკე მე არ მინახავსო. მე შევიშმუშნე და ვუთხარი, კარგი რა მნახე შენც ალიოხინი. თუმცა ცოდვა გამხელილი ჯობს ძალიან მესიამოვნა.



**რომან ჯინჯიხაშვილი** დაიბადა 05.05.1944

სამი ქვეყნის: საქართველოს, ისრაელის და აშშ-ს ჩემპიონი სხვადასხვა წლებში. საერთაშორისო ოსტატი 1970 წლიდან, საერთაშორისო დიდოსტატი 1977 წლიდან, მსოფლიოო საჭადრაკო ოლიმპიადებზე დაიცვა ისრაელის და აშშ-ის სპორტული ღირსება.

## 10. **მერაბ თხელიძე** (ო/კ) - **რომან ჯინჯიხაშვილი** (ო/კ)

ამიერკავკასიის ვაჟთა ღია ჩემპიონატი, თბილისი, 1963 წელი

სიცილიური დაცვა **B59**

**1.e4 c5 2.♘f3 ♘c6 3.d4 cxd4 4.♘xd4 ♘f6 5.♘c3 d6 6.♗e2 e5 7.♘b3 ♗e7 8.♗e3 0–0 9.f3 ♗e6** (მივიღეთ **ბოლესლავსკის** ვარიანტი. ენციკლოპედიაში მითითებულია **რაბასი-გლიგორიჩის** (1949 წელი) შემდეგი პარტია: 9...d5 10.♘xd5 ♘xd5 11.♕xd5 ♕c7 12.♕d2 ♖d8 13.♗d3 ♘b4 14.0–0 ♗e6 15.♘c1 ♖ac8 16.♖f2 ♕d7 17.♕e2 ♕a4 18.a3 ♘xc2 19.♗xc2 ♖xc2 20.♕xc2 ♖d1=]

**10.♘d5 ♗xd5 11.exd5 ♘b4 12.c4 a5 13.♕d2 b6 14.0–0 ♘d7 15.f4 ♘a6 16.fxe5 dxe5 17.d6 ♗f6 18.♗f3 ♖b8 19.♗d5 a4 20.♘c1 ♘dc5 21.b4 axb3 22.axb3 e4 23.♖a3 ♗e5 24.b4 ♕xd6 25.bxc5 ♗xh2+ 26.♔h1 ♘xc5 27.♖a7 ♘e6 28.♗xe4 ♕xd2 29.♗xd2 ♗d6 30.♗d5 b5**



**31.♖fxf7 ♖xf7 32.♗xe6 ♖bf8** <u>**33.cxb5**</u> შავები დანებდნენ **1–0**

## ალექსანდრე ბუსლაევი
## 1929-1980 წწ.

სსრკ სპორტის ოსტატი 1957 წლიდან. 1954 წლის საქართველოს ჩემპიონი ვაჟთა შორის. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ასპარეზობდა სსრკ კავშირის გუნდურ ჩემპიონატებსა და სსრკ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე.

11. **ალექსანდრე ბუსლაევი** (თბ., ს/ო) - **მერაბ თხელიძე** (თბ., ო/კ)

ამიერკავკასიის ღია ჩემპიონატი, თბილისი, 1963 წელი.

ძველინდური დაცვა E64

**1.d4 ♘f6 2.c4 g6 3.g3 ♗g7 4.♗g2 0–0 5.♘c3 d6 6.♘f3 c5 7.d5 e6 8.dxe6** (ენციკლოპედიაში გვაქვს: 8.e4 a6 9.♕e2 b5 10.cxb5 axb5 11.♘xb5 ♘a6 12.♗d2 ♘b4! **კლაური-ჰააგი**, 1963 წელი).

**8...♗xe6 9.♘g5 ♗xc4 10.♗xb7 ♘bd7 11.♕xd6** (ენციკლოპედიაში ძირითადი ვარიანტია: 11.♗xa8 ♕xa8 12.0–0 d5 13.b3 ♗a6 14.♗b2 d4 15.♘a4 ♖e8 16.♖e1 ♕d5, მაგრამ ბუსლაევს, რომელიც კლასიკურ პოზიციურ სტილში თამაშობდა, ასეთ არეულ პოზიციებში თამაში არ უყვარდა).

**11...h6 12.♘h3** (ან 12.♗xa8 ♕xa8 13.♘f3 ♘e4 14.♘xe4 ♕xe4 15.♗e3 ♗xb2 16.0–0 ♗xe2)



**12...♖b8 13.♗g2 ♖e8 14.0–0 g5 15.♕d2 ♖b6 16.♖d1 ♕c8 17.♔h1 ♖be6 18.e3 ♘b6 19.b3 ♗a6 20.♗b2**



**20...♘g4 21.♘d5** [21.♖ac1?!]

**21...♘xd5 22.♗xd5 ♖d8 23.♗xe6** [23.♕c2 ♖ed6 24.♗xg7 ♖xd5 25.♗c3]

**23...♕a8+ 24.♗d5 ♖xd5 25.♕xd5 ♗b7 26.e4 ♗xd5 27.exd5 ♗xb2 28.♖ab1 ♗d4 29.♔g1 ♕xd5 30.b4 ♕f5** თეთრები დანებდნენ

**0–1**

## §3.3 მერაბ თხელიძე „თავის“ საჭადრაკო მწვერვალზე (1963-1972 წწ.)

მერაბ თხელიძე გვიყვება: „დღეს 2019 წლის გადასახედიდან რომ ვაანალიზებ ჩემს საჭადრაკო ცხოვრებას, ვხვდები, რომ ჩემი საჭადრაკო პიკი 1963-1966 წლები იყო! მაგრამ ჩემს საჭადრაკო ზრდას ხელი შეუშალა შემდეგმა სამწუხარო ფაქტმა: 1963 წლის 4-27 მაისს, თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის ღია პირველობა, რომელშიც დაუშვეს საქართველოს ხუთი წამყვანი ოსტატობის კანდიდატი. ოსტატობის წოდების მოსაპოვებლად, ოსტატობის ნორმა 8,5 ქულა იყო. ამ ხუთი კანდიდატიდან **გურამ კალატოზიშვილმა** მოაგროვა 9,5 ქულა, მე - 9 ქულა და ორივემ დავაგროვეთ ოსტატობის წოდების მოსაპოვებელი ქულები. ოსტატობის მინიჭებას წყვეტდა საკავშირო საკვალიფიკაციო კომისია, რომელსაც მსოფლიოო მეცხრე ჩემპიონი, დიდოსტატი **ტიგრან პეტროსიანი** ხელმძღვანელობდა. კომისიამ არც ერთს არ მოგვანიჭა ოსტატის წოდება. **გურამი** იმიტომ დაიწუნეს, რომ მან ბევრი უბრძოლველი ყაიმი ჰქონდა - ცხრა ყაიმი 15-დან, შეიძლება ეს სამართლიანი იყო, მე სულ ოთხი ყაიმი მქონდა და რატომ დამიწუნეს არც მაშინ უთქვამთ და არც დღეს ვიცი. ამან ჩემზე ძალიან იმოქმედა, რასაც

დაემატა მძიმე ოჯახური მატერიალური პირობები, იძულებული გავხდი არჩევანი გამეკეთებინა ჭადრაკსა და მათემატიკას შორის. არც კი ვიცი, რომელი უფრო მიყვარს, მაგრამ მათემატიკა იძლეოდა სტაბილური ცხოვრების საშუალებას და ამიტომ ის ავირჩიე. ჭადრაკისადმი ჩემი სიყვარული, სინანული, გაუსაძლისი სევდა კი გამოვხატე ლექსში, რომელიც დავწერე 2002 წელს და აქ მომყავს''.

**მიხეილ ტალი 1936-1992 წწ.**

დიდოსტატია **1957** წლიდან. მსოფლიო მერვე ჩემპიონი **1960-1961** წლებში. მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა ორი მატჩი: **1960** წელს დაამარცხა მიხეილ ბოტვინიკი, **1961** წელს მატჩ-რევანშში კი დამარცხდა მასთან.

1964 წლის 14 დეკემბერს თბილისში მსოფლიო მერვე ჩემპიონმა



**მიხეილ ტალმა** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნაკრებ გუნდთან გამართა ერთდროული თამაშის სეანსი საათებით თერთმეტ დაფაზე. სეანსის შედეგი 9,5-1,5 (+9, =1, -1) **მ. ტალის** სასარგებლოდ. ერთა-დერთი მარცხი ამ სეანსში დიდოსტატმა ბატონ მერაბთან განიცადა. გთავაზობთ ამ პარტიას.

## 12. **მიხეილ ტალი** (ს/დ) - **მერაბ თხელიძე** (ო/კ)
## ესპანური პარტია C78

**1.e4 e5 2.♘f3 ♘c6 3.♗b5 a6 4.♗a4 ♘f6 5.0–0 b5 6.♗b3 d6 7.c3** („მართალია, მეშინოდა ასეთ ბუმბერაზთან, კომბინაციის უკიდეგანო მოჭადრაკესთან კომბინაციური შებმის, მაგრამ მაინც გავრისკე მასთან ლევენფიშის ვარიანტის თამაში: 7.♘g5 d5 8.exd5 ♘d4 და ა.შ., ტალი ამ ვარიანტზე არ გამომყვა")

**7...♗g4?!** (ახლა კი მივიღეთ ჩემი ერთ-ერთი მწვრთნელის **ვიქტორ გოგლიძის** მოთხოვნით ჩემს მიერ დამუშავებული ვარიანტი, რომელიც იწყება 7...♗g4?! სვლით) **8.d4 ♕c8?! 9.♖e1 ♘a5 10.♗c2 c5 11.dxe5 dxe5 12.♘bd2 ♗e7 13.♘f1 0–0 14.♘e3 ♖d8 15.♕e2 ♗h5 16.♘f5 ♘c6 17.♗g5 h6 [**



**18.♘xe5!?** („ამ სვლას ნამდვილად არ ველოდი: გავოცდი, მაგრამ ტალი ტალია! მე ვთვლიდი ვარიანტს 18.♘xe7+ ♘xe7 19.♗xf6 gxf6 20.♕e3 ♔h7 დავიბენი, მაგრამ ბევრი ფიქრის შემდეგ ვიპოვე გამოსავალი - შუალედური სვლა!")

**18...♗xe2 19.♘xc6 ♕e6 20.♘fxe7+ ♔f8 21.♘xd8 ♖xd8 22.♗xf6 ♖d2! 23.♗xg7+ ♔xe7 24.♖ac1 ♕g4 25.♗e5 h5 26.h3 ♕g5 27.♗b8 h4 28.♗d1 ♖xb2 29.f4 ♕g3 30.♗xe2 ♕e3+ 31.♔f1**



**31...♖xe2! 32.♗d6+ ♔d7 33.♖xe2 ♕xc1+ 34.♖e1 ♕xc3 35.♗e5 ♕d3+ 36.♖e2 c4 37.♗b2 c3 38.♗c1 ♕b1** (თეთრები დანებდნენ. ასეთია მერაბ თხელიძის კომენტარები [2]).

**0–1**

საქართველოს ნაკრებმა შემდეგი შემადგენლობით: 1. **რომან ჯინჯიხაშვილი** (ს/ო), 2. **თამაზ გიორგაძე** (ს/ო), 3. **თამაზ კიკიანი** (ს/ო), 4. **თეიმურაზ ლომაია** (ს/ო), 5. **ალეკო ბოკუჩავა** (ს/ო), 6. **მერაბ თხელიძე** (ო/კ), 7. **თამარ ხუგაშვილი** (**ხმიადაშვილი**) (ს/ო), 8. **ციცინო კახაბრიშვილი** (ს/ო) 1966 წელს გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებელთა ჩემპიონატში. ნახევარ-ფინალი ჩატარდა ქ. ხარკოვში, ხოლო ფინალი გაიმართა 18 ივლისიდან 1 აგვისტომდე ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში. **მერაბ თხელიძე** დააჯილდოეს სამი ოქროს მედლით: ერთი - გუნდური პირველი ადგილისთვის, მეორე - დაფაზე პირველი ადგილისათვის და მესამე - ნახევარფინალში და ფინალში ყვე-ლაზე მაღალი სპორტული შედეგისთვის: 12 ქულა 14-დან, (+10, =4). შემოგთავაზებთ ფინალურ ეტაპზე მის მიერ ნათამაშებ ერთ პარტიას.

## 13. **სამოილოვი** (ნოვგოროდი, ო/კ) - **მერაბ თხელიძე** (თბილისი, ო/კ) 1966 წ. ესპანური პარტია C72,

**1.e4 e5 2.♘f3 ♘c6 3.♗b5 a6 4.♗a4 ♘f6 5.♘c3 b5 6.♗b3 d6 7.♘g5 d5 8.♘xd5 ♘d4 9.d3** (მივიღეთ ლევენფიშის ვარიანტი: ან, 9.♘xf6+ ♕xf6 10.♗xf7+ ♔e7∓; 9.c3 ♘xd5 10.♘xf7 ♔xf7 11.♗xd5+ ♗e6 12.♗xa8 ♕xa8 13.cxd4 ♕xe4+ 14.♔f1 ♗d5 15.f3 *(ან 15.♕f3+ ♕xf3 16.gxf3 ♗xf3 17.♖g1 exd4=)* 15...♗c4+ 16.d3 ♗xd3+ 17.♔f2 ♕xd4+ 18.♗e3 ♕xb2+±; კომპიუტერი გვირჩევს 9.♘e3 ♘xb3 10.axb3 h6 11.♘f3 ♘xe4 12.♘xe5 ♕f6 13.♘5g4 ♕e6 14.f3 h5±)

**9...♘xb3 10.axb3 ♘xd5 11.exd5 ♗b4+ 12.c3 ♗e7 13.♘f3** (ან 13.♕h5 ♕xd5 14.0–0 ♗b7 15.♘f3)

**13...♕xd5 14.c4 ♕c6 15.0–0 ♗b7 16.♖e1 f6 17.d4 bxc4 18.dxe5 0–0 19.bxc4 ♗b4 20.♖e3 ♖ad8 21.♕b3 ♗c5 22.♖e2 fxe5 23.♖xe5 ♕d6 24.♕xb7**



[24.♗e3 ♗xf3 25.♖xc5 ♗xg2 26.♖g5 ♗h3 27.c5+ ♕e6 28.♕xe6+ ♗xe6]

**24...♕xe5! 25.♗g5 ♖xf3 26.♗xd8 ♖xf2 27.♔h1 ♗d6 28.♕d5+ ♕xd5 29.cxd5 ♖xb2 30.g3 h6 31.♖xa6 ♖b8 32.♖xd6 cxd6 33.♗c7 ♖b5 34.♗xd6 ♖xd5** თეთრები დანებდნენ

**0–1**

1966 წლის 15 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე ქ. სოჭში, ნსს „ბურევესტნიკმა“ ჩაატარა საკავშირო შეჯიბრება ორ წრედ, შევენინგენის სისტემით, სპორტის ოსტატობის კანდიდატები - სპორტის ოსტატების წინააღმდეგ. გთავაზობთ ამ შეჯიბრების ერთ პარტიას.

## 14. **ვასილ ლეპიოშკინი** (მოსკოვი, ს/ო) - **მერაბ თხელიძე** (თბილისი, ო/კ) 1966 წელი, სოჩა. ესპანური პარტია C64

**1.e4 e5 2.♘f3 ♘c6 3.♗b5 ♗c5 4.0–0 ♘d4 5.♘xd4 ♗xd4 6.c3 ♗b6 7.d4 c6 8.♗c4 d6 9.dxe5 dxe5 10.♕h5 ♕e7 11.♘d2** (ან 11.♗g5 ♘f6 12.♕h4 ♗e6= მივიღეთ ორდელის ვარიანტი) **11...♘f6 12.♕h4**



**12...g5! 13.♕xg5** [13.♕g3 ♘h5 14.♕f3 g4 15.♕d1 ♘f4∓]

**13...♖g8 14.♕h4** [14.♕h6 ♖g6 15.♕h4 ♖g4 16.♕h6 ♖g6 *(16...♗d7!?)*⊔]

**14...♖g4 15.♕h3 ♖f4 16.♕g3 ♖xf2 17.♖xf2 ♘g4 18.♔f1 ♗xf2 19.♕d3 ♗b6 20.♔e2** [20.♘f3? ♕c5 21.♕e2 ♘xh2+! 22.♘xh2 ♕g1#]

**20...♘xh2 21.♔d1 ♘g4 22.♔c2 ♘e3+ 23.♔b1 ♗g4 24.♘f3 ♖d8 25.♕e2 ♖d1 26.a4 ♖g1 27.♕d3 ♗xf3 28.gxf3 ♘xc4 29.♕xc4 ♗e3 30.♔c2 ♕g5 31.♗xe3 ♕g2+ 32.♔b3 ♖xa1 33.♕c5 ♕xf3 34.♕xe5+ ♔d7 35.♕d4+ ♔e6 36.♔b4 ♕e2 37.b3 b6** თეთრები დანებდნენ **0–1**

1972 წელს მოლდავეთის ქალაქ ბელცში გაიმართა საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებელთა გუნდური ჩემპიონატის ფინალი. საქართველოს „ბურევესტნიკ“-ის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა 6 ვაჟი და 2 ქალი, გაიმარჯვა. მერაბ თხელიძე მესამე დაფაზე თამაშობდა.

**საქართველოს „ბურევესტნიკის“ ნაკრები**

საკავშირო ტურნირის გამარჯვებული. ბელცი, 1972წ. I რიგი: **ლალი გელიაშვილი, თამარ ხმია-დაშვილი, გია ცქიტიშვილი;** II რიგი: **კახი ჩიგოგიძე, გიური ციხელაშვილი, მამია სანიკიძე, ნუგზარ ლომაია, მერაბ თხელიძე, თამაზ გიორგაძე.**



## 15. **მერაბ თხელიძე - გუტკინი** (მოსკოვი, ს/ო), 1972 წ.სიცილიური დაცვა **B21**

**1.e4 c5 2.♘f3 d6 3.d4 cxd4 4.c3 dxc3 5.♘xc3 ♘c6 6.♗c4 e6** [მივიღეთ მორას გამბიტი. არ ვარგა 6...♘f6? 7.e5±; 6...♗e6 7.♗xe6 fxe6 8.♕b3 ♕d7 9.0–0 ♘a5 10.♕a3 ♘c4 11.♕b4 ♖c8 12.b3±]

**7.0–0 a6** [კრიტიკული პოზიციაა. ეს გამბიტი მისი ერთ-ერთი გამორჩეული დებიუტია, რომელსაც ნახევარ საუკუნეზე მეტია თამაშობს და არაერთი შთამბეჭდავი პარტია შეუქმნია. მაგალითისთვის მოვიყვანოთ პარტია: **თხელიძე-ციხელაშვილი** (ო,კ), თბილისი, 1968 წელი: 7...♗e7?! 8.♕e2 ♕c7 9.♗f4 ♘f6 10.♘b5! ♕b8 11.e5 ♘h5 12.exd6 ♘xf4 13.♕d2 ♗xd6 14.♘xd6+ ♔e7 15.♖ad1 ♘g6 16.♘f5+±]

**8.♕e2 ♘f6 9.♖d1 ♕a5** [ასევე, საინტერესო პარტიაა: **მერაბ თხელიძე - ოთარ თურქესტანიშვილი,** თბილისის ჩემპიონატის ფინალი, 1959 წელი. 9...♕c7 10.♗f4 ♘g4 11.♖ac1 ♘ge5 12.♘d5 ♘xf3+ 13.♕xf3 ♕d8 14.♗g5!±]

**10.♗f4 ♘e5 11.♘xe5 dxe5 12.♗d2 ♕c7 13.♖ac1 ♕b8** [ან 13...♗d7 14.♗xa6! ♖xa6 15.♘b5! ♗xb5 16.♕xb5+ ♖c6 17.♗a5+- **გრაჟდანცევი - ჟარკოვი,** 1969 წელი].



**14.♘a4! ♘d7** [სხვა გაგრძელებებია: 14...b5 15.♗b3 ♗e7 *(15...♗b7 16.♘c5; 15...bxa4 16.♖xc8+ ♕xc8 17.♗xa4+ ♘d7 18.♗e3+–)* 16.♘c5 0–0 17.♗a5±]

**15.♗a5 b5** [აწ 15...b6 16.♖xd7 ♗xd7 17.♘xb6 ♖a7 18.♘xd7 ♖xd7 19.♗xa6+–]

**16.♗b3 ♗e7 17.♕e3 0–0 18.♘b6 ♘xb6 19.♗xb6 ♗g5 20.♕xg5 ♕xb6 21.♕xe5 ♗b7 22.♖d6 ♖ac8 23.♖cd1 ♖c6 24.♖d7 a5** (აქ საქმეში ჩაერია ორმხრივი ცაიტნოტი და თეთრებმა დააგეს პატარა მახე, რომელშიც შავები გაებნენ) **25.a3 a4 26.♗a2 ♖c2 27.♕f4 ♖xb2?**



(ეს პოზიცია დაიბეჭდა საერთაშორისო საჭადრაკო ჟურნალ „ინფორმატორში“ [8].

**28.♖xf7! ♖xf7** [28...♖d8 29.♖xd8+ ♕xd8 30.♖f8+ ♕xf8 31.♗xe6+ ♔h8 32.♕xf8#]

**29.♗xe6!!** [illegible] **♕xe6** [29...♖xf2 30.♕b8+ ♕d8 31.♕xd8#; 29...♕xf2+ 30.♕xf2 ♖bxf2 31.♖d8#; 29...♕c7 30.♕xf7+ ♕xf7 31.♖d8#]

**30.♖d8+ ♕e8 31.♖xe8+ ♖f8 32.♖xf8#**

**1–0**

## §3.4 არსებობისთვის მათემატიკა, სიყვარულისთვის ჭადრაკი

1991-1994 წლებში საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო, თითქმის ყველა კულტურული, სამეცნიერო და სპორტული საქმიანობა ჩაკვდა. გამზადებული სადოქტორო დისერტაცია, რომლის მოსკოვში დაცვას გეგმავდა **მერაბ თხელიძე**, ვერ მოხერხდა არსებული ვითარების გამო. ძალიან დასანანი იყო მისთვის ამ საქმეში დახარჯული დრო და შრომა.

**მერაბ თხელიძე** საკუთარი თავის, ოჯახის, მისი და მისი მეუღლის ახლობლების, ყველას ღირსეული ცხოვრებისათვის, როგორც კლანის უფროსი და მათ კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი, აკეთებდა ყველაფერს, რაც შეეძლო და რაც არ შეეძლო: მუშაობდა ერთდროულად რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში, საღამოობით ამზადებდა აბიტურიენტებს. სამწუხაროდ საყვარელი საქმისათვის, ჭადრაკისათვის არც დრო რჩებოდა და არც ძალა. მან სწორედ ამიტომ თქვა: არსებობისათვის მათემატიკა, სიყვარულიისთვის - ჭადრაკი. მართალია მან შეძლო მონაწილეობა მიეღო თბილისისა და საქართველოს შეჯიბრებებში, „ქარიშხალას" საკავშირო პირველობების ნახევარ-ფინალებში, სტუდენტ-მასწავლებელთა საკავშირო გუნდურ ჩემპიონატებში, მაგრამ ეს იყო სპორტული თამაშები და არა მის მიერ შექმნილი თეორიული კვლევების გამოცდა შეჯიბრებებში და საჭადრაკო წინსვლა. ვნახოთ, მის მიერ ამ პერიოდში შექმნილი რამდენიმე ლამაზი პარტია.

## 16. **მერაბ თხელიძე** (ო/კ) - **იური ჩიქოვანი** (ს/ო)
### თბილისის ვაჟთა ჩემპიონატის ფინალი,1974 წ.
### პირც-უფიმცევის დაცვა **B06**

**1.e4 d6 2.d4 g6 3.♘c3 ♗g7 4.♗g5 c6** [მერაბ თხელიძეს განსაკუთრებით მოსწონს 4...♘f6 5.e5-ის შემდეგ მიღებული პოზიციები. მაგალითად: dxe5 6.dxe5 ♘g4 *(6...♘fd7 7.e6 fxe6 8.♘f3 c6 9.♗e2 0–0 10.0–0 ♘f6 11.♕c1 ♘d5 12.♗h6)* 7.♕xd8+ ♔xd8 8.♖d1+ ♗d7 9.e6 fxe6 10.♗c4]

**5.♕d2 b5 6.♘f3 ♘d7 7.♗d3 a6 8.0–0 ♕c7 9.♖ac1?! ♘gf6 10.♘e2 c5 11.c4 b4 12.♘f4 e6 13.♖fe1 cxd4 14.♘xd4 ♘c5 15.♗b1 ♖b8**




[15...h6 16.♗xf6 ♗xf6 17.♘f3 0–0 18.e5 ♗xe5 19.♘xg6 fxg6 20.♘xe5 dxe5 21.♕xh6 ♕g7 22.♕e3 ♘d7 23.c5 ♖a7 24.♕g5]

**16.♘d5 exd5** [16...♘xd5 17.cxd5 0–0 18.e5 dxe5 19.dxe6±]

**17.exd5+ ♔f8 18.♗xf6 ♗xf6 19.♕h6+ ♗g7 20.♖e8+ ♔xe8 21.♕xg7 ♖f8 22.♖e1+ ♗e6 23.dxe6 ♕e7 24.exf7+ ♖xf7 25.♖xe7+ ♖xe7 26.♕xe7+ ♔xe7 27.♘c6+ ♔d7 28.♘xb8+ ♔c7 29.♘xa6+ ♘xa6 30.f4 ♔b6 31.♔f2 ♔c5 32.♔e3 ♘b8 33.b3 ♘d7 34.♗e4 ♘f6 35.h3 ♘g8 36.g4 ♘h6 37.♗d5** შავები დანებდნენ

## 17. **ორდიანი** (ერევანი, ო/კ) - **მერაბ თხელიძე** (თბილისი, ო/კ)

ნსს „ბურევესტნიკის“ საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალი.
იურმალა, 1975 წელი.

### არასწორი დასაწყისი A00

**1.a3 e5 2.c4 c6** („თეთრებს უნდათ „დამაბნიონ“ ამ იშვიათი დასაწყისით. მე დავფიქრდი და გადავწყვიტე მეთამაშა ალაპინის ვარიანტი სიცილიურ დაცვაში მეორე ფერში. ჩავთვალე, რომ სვლა a3 დიდად არ მიშლიდა ხელს, თანაც მოულოდნელობას იმავენაირად ვუპასუხე, ვნახოთ, როგორ გაართმევს თავს“ - მითხრა ბატონმა მერაბმა) **3.♘f3 e4 4.♘d4 d5 5.cxd5 cxd5 6.d3 ♘f6 7.♘c3 ♘c6 8.♘xc6 bxc6 9.g3?!** (შავების გადაწყვეტილებამ შედეგი გამოიღო. თეთრების ბოლო სვლა ვერ ჯდება ალაპინის დებიუტის იდეაში) **exd3 10.♕xd3 ♗d6 11.♗g2 0–0 12.0–0 ♘g4 13.♖e1 a5 14.♕c2 ♖e8 15.♕a4 ♗d7 16.♗h3 c5 17.♕b3** [ან 17.♕c2 d4]

**17...c4 18.♕c2**



**18...♘xh2 19.♗g5** [19.♗g2 ♘g4 20.♘xd5 ♖c8∓]

**19...♕xg5 20.♗xd7 ♖e3** თეთრები დანებდნენ

## 18. **მერაბ თხელიძე** (საქართველო) - **გეორგ მიტიევი** (ბულგარეთი, ს/ო) საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ბონსისტ-89“ სოფია, 1989 წელი, 21-31 ოქტომბერი. სიცილიური დაცვა B22

**1.e4 c5 2.d4 cxd4 3.c3 d5 4.exd5 ♕xd5 5.cxd4 ♘c6** [საინტერესოა, რომ უფრო გვიან ითამაშეს: 5...e6 6.♘c3 ♕a5 7.♘f3 ♘f6 8.♗d3 ♗e7 9.0–0 ♘c6 10.♖e1 0–0 11.♘e5 ♖e8 12.♘xc6 bxc6 13.♗f4 ♕b6 14.♗e5 ♕xb2 15.♖e3 ♘g4 16.♕xg4 ♕xa1+ 17.♘b1 f6 18.♖g3 ♗f8 19.♕h5 h6 20.♗xf6+– **მ.თხელიძე-ვანიკ მეჰმეტი**, თურქეთი, მსოფლიოს ჩემპიონატი მოყვარულ მოჭადრაკეებს შორის, ჰასტინგსი, 1996 წ.; 5...♗f5?! 6.♘c3 ♕d8 7.♕f3 ♕c8 8.♗b5+ ♗d7 9.♗f4 e6 10.♖c1 ♗b4 11.♗xd7+ ♘xd7 12.♘ge2 ♘gf6 13.0–0 ♕d8 14.♕xb7 ♗xc3 15.♘xc3!± **მ.თხელიძე - სოფიკო ტერელაძე,** საერთაშორისო ტურნირი „ქობულეთი - 2000“]

**6.♘f3 ♕e4+?!** (ეს სვლა თეორიაში აღნიშული არ არის. არც ის არის ძნელი მისახვედრი, რომ ასეთ ცნობილ დებიუტში მე-6 სვლა უცნობი ვერ იქნება. მაგალითად, პარტიაში **მერაბ თხელიძე-მიშა ზვიადაძე,** თბილისი, 2001 წელი, შავებმა ითამაშეს 6...♗g4 და მიიღეს ასეთი პასუხი: 7.♘c3 ♕e6+ 8.♗e3 ♕f5 9.♗d3 ♗xf3 10.gxf3 ♕a5 11.♕b3 ♕b4 12.♕xb4 ♘xb4 13.♗b5+ ♔d8±]

**7.♗e2 e5 8.♘c3 ♗b4 9.0–0 ♗xc3 10.bxc3 exd4**



**11.♗c4 ♗e6 12.♘g5 ♕g6 13.♗xe6 fxe6 14.♘xe6 ♖c8 15.♖e1 ♘ge7 16.♗a3 dxc3 17.♘f4 ♕g5 18.♘e6 ♕f6 19.♕g4 g6 20.♖ad1 b5 21.♖d6 ♘e5 22.♕e2 ♘7c6 23.♘c7+ ♔f7 24.♖xf6+ ♔xf6 25.♗d6** შავები დანებდნენ

**1–0**

## §4. მერაბ თხელიძე: „ჭადრაკს ვითამაშებ სიცოცხლის ბოლომდე“

მიილია 1994 წელი. ქვეყანაში შედარებით სტაბილური ვითარება შეიქმნა. საქართველოს რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციის გამგეობის სხდომაზე, 1995 წლის 2 თებერვალს, **მერაბ თხელიძეს** მიანიჭეს ეროვნული ოსტატის წოდება. საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატობის ნორმის შესრულებისა და წოდების არმინიჭების შემდეგ 32 წელმა გაიარა და სამართალმა პური ჭამა.

ასევე, იზეიმა სამართალმა 2007 წლის 13 აპრილს, როდესაც მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, დაცული 2006 წლის 31 დეკემბრამდე, ავტომატურად გაუთანაბრდა დოქტორის აკადემიურ ხარისხსა და **მერაბ თხელიძე** 2007 წლის 13 აპრილიდან გახდა ფიზ.მათ. მეცნიერებათა დოქტორი, დღეისათვის კი მას მინიჭებული აქვს ჭადრაკისა და ფიზ.მათ. მეცნიერებების პროფესორის წოდება. რაც შეეხება ჭადრაკში მის აქტიურ დაბრუნებას, 1994 წლიდან 2006 წლამდე გაგრძელდა. შემდეგ ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა კვლავ დიდი ხნით ჩაუკლა **მერაბ თხელიძეს** ჭადრაკის შეჯიბრებებში მონაწილეობის სურვილი. გაუთავებელი არეულობის, უსამართლობისა და ათასი რამის გამო შოკიდან ძლივს გამოვიდა 2016 წელს და გულმა ისევ გაუწია ჭადრაკისკენ. საინტერესო გამოდგა მისი პირველივე ტურნირი ჭადრაკში დაბრუნების შემდეგ. 1995 წლის 31 მარტიდან, 2 აპრილამდე, თბილისში ჩატარდა ორმოც წელს გადაცილებულ მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატი აქტიურ ჭადრაკში. ტურნირი 40 მონაწილეს შორის 9 ტურად, შვეიცარიული სისტემით გაიმართა. მთავარი მსაჯი იყო **ევგენი (ტუგა) მელიქსედბეგი.**

სპონსორი - საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **კახი ჩიგოგიძე**, რომელმაც დააწესა პირველი ხუთი პრიზი: 200 ათასი, 120 ათასი, 80 ათასი, 60 ათასი და 40 ათასი რუბლის ოდენობით. მონაწილეები - 39 მამაკაცი

და ერთი ქალბატონი, **თამარ ხმიადაშვილი**. 9-დან 7 ქულით მერაბ თხელიძემ დაიკავა პირველი ადგილი.

**19. რამაზ ჩაგელიშვილი** (თბ., ო/კ) - **მერაბ თხელიძე** (თბილისი, ს/ო) საზონათაშორისო შესარჩევი ტურნირი საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოსახვედრად. თბილისი, 1995 წ. ბუდაპეშტური გამბიტი **A52**

**1.d4 ♘f6 2.c4 e5 3.dxe5 ♘g4 4.♘f3** [მოგვიანებით რამდენჯერმე ითამაშა ეს გამბიტი მერაბ თხელიძემ: 4.♗f4 g5 *(4...♗b4+ 5.♘d2 d6 6.exd6 ♕f6 7.e3 ♘xf2 8.♔xf2 g5 9.g3 gxf4 10.exf4 ♕d4+ 11.♔g2 ♕xd2+ 12.♕xd2 ♗xd2 13.dxc7 ♘c6 14.♘f3 ♗a5 15.♗d3 ♗xc7∓* **ს.ზერაძე-მ.თხელიძე** საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი „ქობულეთი-2000“*)* 5.♗g3 ♘c6 *(5...♗g7 6.♘f3 ♘c6 7.♕d5 d6 8.♘c3 ♗e6 9.♕b5 0–0 10.exd6 f5 11.e3 cxd6 12.♖d1∓* **ა.ჩიბუხჩიანი-მ.თხელიძე** საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა, 1995 წ.*)* 6.♘f3 ♗g7 7.♘c3 ♘gxe5 8.♘xe5 ♘xe5 9.e3 d6 10.♖c1 ♗e6 11.b3 h5 12.h4 ♘g6 13.hxg5 ♕xg5 14.♘b5 0–0–0 15.♘xa7+ ♔b8 16.♘b5 h4 17.♗h2 h3 18.gxh3 ♗xh3∓ **ბ.გურგენიძე-მ.თხელიძე** საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა, 1995 წ.; 4.e4 d6 5.e6 ♗xe6 6.♘c3 ♗e7 7.♘h3 0–0 8.♘f4 ♘e5 9.♘fd5 c6 10.♘xe7+ ♕xe7 11.f4 **გ.ზაიჩიკი-მ.თხელიძე** საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა, 1999 წ.]

**4...♘(**

♘gxe

♕d8 9.e3 ♘gxe5 10.♘xe5 ♘xe5 11.♗e2 d6 12.0–0 c6 13.♘c3 ♗e6 14.b3 f5!?]

**5...♘gxe5 6.g3 ♗b4 7.♘xe5 ♘xe5 8.♕c2** [8.a3 ♗e7=; 8.♕b3 ♗e7=]

**8...d5 9.cxd5 ♕xd5 10.♖g1** [10.f3 0–0 11.♔f2 ♗e6]

**10...0–0 11.a3 ♖e8 12.♗g2** [12.axb4 ♘d3+ 13.♔d1 ♘xf2+ 14.♔e1 ♘d3+ 15.♔d1 ♘xb4 16.♕a4 ♖e4 17.♗g2 ♕d4 18.♗xe4 ♗d7 19.♕xd7 ♕xd7=]

**12...♘f3+**



**13.♔d1** [13.♗xf3 ♕xf3 <u>14.e3</u> *(14.♕d1 ♗g4 15.♔f1 ♗h3+ 16.♔e1 ♗a5 17.b4 ♕f6)* 14...♖xe3+ 15.fxe3 ♕xe3+ 16.♔f1 ♗h3+ 17.♖g2 ♗c5]

**13...♗f5 14.♕a4 ♖xe2 15.♕xb4 ♖ae8 16.♗xf3 ♕xf3** თეთრები დანებდნენ

**0–1**

## **20. მ.თხელიძე** (საქ.) - **მატა** (ინგ.) 28,12.1996. მოყვარულ მოჭადრაკეთა მსოფლიო მეორე ჩემპიონატი, ჰასტინგსი, ინგლისი. სიცილიური დაცვა B21

**1.e4 c5 2.d4 cxd4 3.c3 dxc3 4.♘xc3 ♘c6 5.♘f3 d6 6.♗c4 e6 7.0–0 ♗e7 8.♕e2 ♘f6 9.♖d1 ♗d7?! 10.♘b5 ♕b8 11.♗f4!? e5 12.♗g5 a6 13.♗xf6 gxf6** [ან 13...axb5 14.♗xe7 ♘xe7 15.♗xb5 ♘c6 *(<u>ან</u> 15...♗xb5 16.♕xb5+ ♘c6 17.♕d5±)* 16.♕d3±]

**14.♘c3 b5 15.♗b3 0–0 16.♘d5 ♗d8 17.♖ac1 ♔h8 18.♘h4 ♘d4 19.♕h5 ♖g8**



**20.♖xd4 exd4 21.♕xf7 ♖g7?!** [21...♗e8 22.♕e6±; 21...♖a7 22.♘f4±]

**22.♕f8+ ♖g8 23.♘g6+** შავები დანებდნენ

**1–0**

## 21. **მ.თხელიძე** (საქ.) -**კალვერტი** (ინგ.)
## საახალწლო ჩელენჯერ ტურნირი,
## ინგლისი, ჰანსტინგსი, 28.12.1997-08.01.1998
## კარო-კანის დაცვა B14

**1.e4 d5 2.exd5 ♘f6 3.c4 c6 4.d4 cxd5 5.♘c3 e6 6.♘f3 ♗b4** [მივიღეთ პანოვის შეტევა. საინტერესოდ განვითარდა პარტია 6...♗e7 7.c5 ♘e4 8.♗d3 f5 9.♗b5+ ♗d7 10.♘e5 0–0 11.♘xd7 ♘xd7 12.♘xe4 fxe4 13.0–0 ♘f6 14.♗f4 ♕c8 15.a3 ♖f7 16.♖c1 ♘d7 17.c6! ♖xf4 18.cxb7 ♕xb7 19.♗c6 ♕b8 20.♗xa8 ♕xa8 21.♖c7 **თხელიძე-ალექსანდრე ბლაგიძე,** თბილისის ვაჟთა ჩემპიონატის ფინალი, 1959 წელი]

**7.c5 0–0 8.♗d3 b6 9.cxb6 ♕xb6 10.0–0 ♗a6 11.♘a4 ♕c7 12.♗xa6 ♘xa6 13.♗g5 ♘e4 14.♖c1 ♕a5 15.a3 ♘xg5 16.♘xg5 ♗e7 17.b4 ♕b5 18.♘c3 ♕b7 19.f4 ♖ac8 20.♘f3 ♘b8 21.♕d3 ♘d7 22.♘d2 ♘f6 23.♘b3 ♘e4 24.♘a5 ♕a8 25.♘e2 a6 26.♕e3 g6 27.h3 ♗f6 28.♔h2 ♖xc1 29.♖xc1 ♖c8 30.♘b3 ♖xc1 31.♕xc1 ♕b7 32.♘a5 ♕b5 33.♕c2 ♘d6 34.♘b3 ♘f5 35.g4 ♘e3 36.♕c8+ ♔g7 37.♘bc1 ♗xd4 38.♘xd4 ♕f1**



**39.♘xe6+! fxe6 40.♕d7+ ♔f8 41.♕d8+ ♔f7 42.♕c7+ ♔e8 43.♕b8+** შავები დანებდნენ

**1–0**

**22. მერაბ თხელიძე** (საქართველო) - **ოლივერ ლუტცი** (ლუქსემბურგი) ჩეხეთის საერთაშორისო საჭადრაკო ფესტი-ვალი. 18-26 ივლისი 1998წ. სიცილიური დაცვა **B21**

**1.e4 c5 2.d4 cxd4 3.c3 dxc3 4.♘xc3 d6** [მივიღეთ მორას გამბიტი 4...a6 5.♘f3 e6 6.♗c4 b5 7.♗b3 ♗b7 8.♕e2 d6 9.0–0 ♗e7 10.♖d1 ♘d7 11.♗f4 ♕b8 12.♖ac1 e5 13.♗xe5 ♘gf6 14.♗xf6 ♗xf6 15.♘d5 0–0 16.♘c7 ♖a7 17.♖xd6 ♘e5 18.♖xf6± **მ.თხელიძე (საქართველო) - ზბიგნევ სილვიკი (პოლონეთი),** სენიორთა მსოფლიო მეათე ჩემპიონატი, 2000 წელი]

**5.♗c4 e6** [5...♘c6 6.♘f3 a6 7.0–0 ♘f6 8.♗g5 ♘g4 9.♕b3 ♘ge5 10.♘xe5 ♘xe5 11.♗d5 h6 12.f4 hxg5 13.fxe5 e6 14.♗xb7 ♗xb7 15.♕xb7 **მ. თხელიძე (საქართველო) - ტ. სტოკი (ინგლისი),** ჩელენჯერ ტურნირი, დიდი ბრიტანეტი, ჰასტინგსი 1997/1998 წელი]

**6.♘f3 a6 7.0–0 ♕c7 8.♕e2 ♘f6 9.♗f4 ♗e7 10.♖ac1 0–0 11.♖fd1 ♘c6 12.e5 dxe5 13.♘xe5 ♘xe5 14.♗xe5 ♕a5 15.♗d3 ♖e8 16.a3 ♘d5** (პარტიის გადამწყვეტი მომენტია. მოდით,

მერაბ თხელიძის კომენტარი წიგნიდან ,,64 წელი ჭადრაკის სამყაროში''
[2], ასეთია: „სულ ვოცნებობდი მსოფლიოში აღიარებული პირველი სამი ულამაზესი კომბინაციის: **რეტი-ტარტაკოვერის** (1910 წ.), **რეტი- ალიოხინის** (1925 წ.), **ლასკერი-ბაუერის** (1889 წ.), **რეტის**, **ალიოხინის** და **ლასკერის** მიერ, პარტიებში განხორციელებული კომბინაციები მეც მეთამაშა. პირველი ორი კომბინაცია უკვე განვახორციელე მე-14 და 26-ე პარტიებში. დღეს კი მეძლეოდა შესაძლებლობა მესამე - **ლასკერის** ორი კუს შეწირვის, უფრო რთული, **შპილმანის** „რეალური“ შეწირვის განხორციელებისა. ბევრი ვიფიქრე, ეს ხომ ყველაზე რთული, იშვიათი შეწირვაა, ცხოვრებაში ერთხელ შეიძლება შეგხვდეს და ჩემს თავს ვუთხარი: „თუ ამ შეწირვაზე არ წახვალ, შენი, როგორც მოჭადრაკის პატივისცემას დავკარგავ!“



**17.♗xh7+! ♔xh7 18.♕h5+ ♔g8 19.♗xg7 ♔xg7 20.♖d3 ♗f6 21.♖g3+ ♔f8 22.♘e4 ♕d8 23.♖f3 ♔e7 24.♘xf6 ♘xf6 25.♕h4 ♖f8 26.♕xf6+ ♔e8 27.♕f4 b5 28.♖fc3 ♗d7 29.♖d3 ♖c8 30.♖cd1 ♖c7 31.♕d6 ♕c8**



**32.h4 ♗c6 33.♖c3 ♖d7 34.♖xc6 ♕d8 35.♕xd7+ ♕xd7 36.♖xd7 ♔xd7 37.♖xa6 ♖b8 38.♖a7+ ♔e8 39.h5**
**♔f8 40.g4** შავები დანებდნენ. **1–0**

„ეს პარტია შედგა 1998 წლის 18 ივლისს - ჩემი დაბადების 59-ე წლისთავზე! ყოჩაღ, მერაბ! კარგი საჩუქარი მიუძღვენი შენს თავს! მესამე შესანიშნავი კომბინაციის განხორციელების სურვილიც შეისრულე!“, - აღნიშნავს მერაბ თხელიძე.

## 23. მერაბ თხელიძე (საქართველო) -ჰორის ნეიჩი (გერმანია)

მსოფლიო მეათე ჩემპიონატი სენიერობს შორის

პოლონეთი, როვი. 10-24 სექტემბერი, 2000 წ.

პირც-უფიმცევის დაცვა B06

**1.e4 g6 2.d4 d6 3.♘c3 ♗g7 4.♗g5 c6** [მერაბ თხელიძე ხშირად თამაშობს ამ დაცვაში **4.♗g5** სვლას და განსაკუთრებით მოსწონს პოზიციები, რომლებიც მიიღება 4...♘f6 5.e5-ის შემდეგ. იგივე პოზიციები შეიძლება აგრეთვე მივიღოთ: [1...d6 2.d4 ♘f6 3.♘c3 g6 4.♗g5 ♗g7-ის შედეგადაც. მოვიყვანოთ მისი რამდენიმე პარტია: 4.♗g5 ♗g7 5.e5 dxe5 6.dxe5 ♕xd1+ *(6...♘g4 7.♕xd8+ ♔xd8 8.♖d1+ ♗d7 9.e6 fxe6 10.♗c4 ♔e8 11.♘f3 ♘e5 12.♘xe5 ♗xe5 13.0–0 ♘c6 14.♘e4±* **მერაბ თხელიძე-ლიოგკი** (ოდესა), წსს „ქარიშხალას" საკავშირო პირველობის ნახევარფინალი, იურმალა, 1975 წელი*)* 7.♖xd1 ♘g4 8.h3 ♘xe5 *(8...♘xf2 9.♔xf2 ♗xe5 10.♘d5* **მერაბ თხელიძე-შალვა ხაბურზანია**, საქართველოს ჩემპიონატი სენიორთა შორის, თბილისი, 2006 წელი*)* 9.♘d5+– **მერაბ თხელიძე-გურამ კალატოზიშვილი,** თბილისი, 1975 წელი)

**5.♘f3** [თეორია გვირჩევს 5.♕d2 b5 6.f4 ♘d7 7.♘f3 b4 8.♘d1 a5 9.c3±]

**5...b5 6.♕d2 ♕a5 7.♗e2 ♗g4 8.0–0 ♘f6**



**9.b4 ♕b6 10.d5 ♗xf3 11.gxf3 a6 12.a4 ♘fd7 13.♗e3 ♕b7 14.axb5 cxb5 15.♗h6 0–0 16.♔h1 ♖c8 17.♗xg7 ♔xg7 18.f4 ♘b6 19.e5 ♕c7 20.♖a3 dxe5 21.fxe5 ♕xe5 22.f4 ♕c7 23.♕d4+ ♔g8 24.f5 ♘c4 25.fxg6 hxg6 26.♘xb5 ♕e5 27.♕g4 ♘b6 28.♘d4 ♘8d7 29.♖h3 ♘f6 30.♕h4 ♕e4+ 31.♕xe4 ♘xe4 32.♖e3 f5 33.♘xf5 gxf5 34.♖xf5 ♘d6 35.♖g3+** შავები დანებდნენ

**1-0**

# დასკვნა

**მერაბ თხელიძის** პარტიების განხილვამ გვაჩვენა, რომ მიუხედავად მრავალი ცხოვრებისეული დაბრკოლებისა, მან მაინც მოახერხა და წარმატებულად განვლო საჭადრაკო ცხოვრება. ეს მაგალითია ყველა ჭადრაკის მოყვარული ახალგაზრდისთვის.

გახსოვდეთ, რომ **მერაბ თხელიძე** მსოფლიოში ერთადერთი მოჭადრაკეა, ჩვენდა სასახელოდ თანაც ქართველი, რომელმაც მოახერხა ჭადრაკში მსოფლიოს სამი ჩემპიონის: **მიხეილ ტალის**, **მიხეილ ბოტვინიკისა** და **ბორის სპასკის** დამარცხება ულამაზეს ტაქტიკურ სტილში. მისი სადებიუტო მომზადება სახელად „**თამაში დასწრებაზე**, **დებიუტების დაგეგმილი ცვლა**“, ერთ-ერთი უნიკალური საჭადრაკო აღმოჩენაა, რომელსაც მალე ვიხილავთ ცალკე წიგნად გამოცემულს, რომელიც ჩვენი ერთობლივი ნაშრომი იქნება.

მერაბ თხელიძისადმი მიძღვნილი ამ წიგნით მე გაჩვენეთ თუ რა მძიმე შრომას მოითხოვს სპორტში წინსვლა და წარმატებისთვის ბრძოლა. გარდა ამისა ყოველთვის საინტერესოა რაც ხდება კულისებს მიღმა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. **დავითაია, ზ.** - ინტერვიუ მერაბ თხელიძესთან. // *გაზეთი „ასავალ-დასავალი“*, *№46 (1200).* 2017 წელი (გვ.29)

2. **თხელიძე, მ.** - *64 წელი ჭადრაკის სამყაროში.* თბილისი, 2019.

3. **თხელიძე, მ.** - *ლექსები თქვენთვის და თქვენზე.* საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნა“. თბილისი, 2019.

4. **თხელიძე, მ.** - ზვიად გამსახურდია - ჩემი კლასელი, მოგონებები. //*საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურული კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ ჟურნალი „სიტყვა“,* №30, გვ. 31-34. 2018 წელი.

5. **თხელიძე, მ.** - შეხვედრა ჭადრაკის დაფასთან. *ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“,* №2, თებერვალი, გვ. 68-70. 1978 წელი.

6. **გიორგაძე, თ.** - ბოტვინიკის პირველი სტუმრობა თბილისში. //*გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №212, შაბათი, 30 აგვისტო.* (ლაზიერი №11). 1997 წელი.

7. **თხელიძე, მ.** - *შევისწავლოთ ჭადრაკი.* თბილისი: საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ,,საზოგადოება ცოდნა''. თბილისი, 2018 წელი.

8. **საჭადრაკო ინფორმატორი** - ტომი VX (დიაგრამა 13). 1973 წელი.